# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 28 ნოემბერი 2007 №275 (3198) ფასი 50 თეთრი



ეროვნული ბიბლიოთეკა




## კალენდარი სოფიაში იქნება

### იტალიამ თქვა, ბულგარეთმა გადაწონა

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ჩვენი შესარჩევი ჯგუფის კალენდარზე მოლაპარაკებას მეტოქეები ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში დაიწყებენ.

შეხვედრა სავარაუდოდ, 5-დან 15 იანვრამდე შედგება და ვნახოთ, როგორი შედეგით დასრულდება.

ადრე უეფას თანაჯგუფელთათვის კალენდრის შესათანხმებელი ვადა 10 იანვარმდე ჰქონდა დაწესებული, მაგრამ ფედერაციების დიდი ნაწილის სურვილი გაითვალისწინა და გუნდებს მოსალაპარაკებლად იანვრის ბოლომდე აცლის.

საქართველო, მოგეხსენებათ, ჯგუფში ამჯერადაც იტალიასთან ერთად არის და თავიდან საკალენდრო შეხვედრის მასპინძლობა სწორედ ამ ქვეყანას სურდა, მაგრამ...

— იტალიის ნაკრების მწვრთნელი რობერტო დონადონი კენჭისყრას არ ესწრებოდა — გვითხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ, რომელსაც შვეიცარიაში დავუკავშირდით. ის იქ უეფას ჩინოსნებთან შესახვედრად შეყონდა — თავიდან ითქვა, კალენდარზე შესათანხმებლად იტალიაში შევიკრიბოთო, მაგრამ შემდეგ ამის სურვილი ბულგარეთმაც გამოთქვა. იტალიელებმა, მწვრთნელს დავეკითხებითო. მოგვიანებით, ჩვენ და იტალიელები დურბანიდან ერთად გამოვფრინდით და სწორედ მაშინ გავიგეთ, რომ სოფიაში შეხვედრაზე დონადონი წინააღმდეგი არ იყო. შემდეგ სხვა მეტოქეებსაც დავუკავშირდით და ყველასგან წინასწარი თანხმობა მივიღეთ. რაიმე გაუთვალისწინებელი თუ არ მოხდა, კალენდარზე იანვრის პირველ ნახევარში შევთანხმდებით.

შეგახსენებთ, ახლახან დამთავრებული შესარჩევის კალენდარზე ჩვენი ჯგუფელები კარგა ხანს ვერ შეთანხმდნენ, მაშინ უკრაინა და საფრანგეთი ჯიუტობდნენ. ბოლოს კი, ვიდრე საქმეს უეფა მოაგვარებდა, ცოტ-ცოტა ორივე ქვეყანამ დათმო და ბოლოს რაც გამოვიდა ყველამ ვნახეთ.

**კობა ინასარიძე**

# 4 მილიონი კალაძისთვის

## ესპანელი და ამერიკელები ინგლისში ქართველის გამო წაეკიდნენ

გუშინაც გვეწერა და დღევანდელ „სარბიელშიც" შეგიძლიათ წაიკითხოთ ბოლოდროინდელი ლივერპულული დაპირისპირების ამბავი — მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი და კლუბის მეპატრონეები ერთმანეთს უტევენ. კამათი ფულზეა, რომლითაც ბენიტესმა ახალი ფეხბურთელები უნდა იყიდოს.

ეს, თავისთავად საინტერესო, მაგრამ ქართველთათვის არაფრით გამორჩეული ამბავი კი გუშინ საღამოს „ქართულად" იქცა.

გაირკვა, რომ ფული, რომელსაც ბენიტესი „ლივერპულის" ამერიკელ მეპატრონეებს სთხოვს, სხვებთან ერთად კახა კალაძისთვისაც სჭირდება...

ლონდონური „ინდეპენდიენტის" ინფორმაციით, კალაძე, რომელიც ამ სეზონში „მილანის" ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი არ არის, დაახლოებით 4 მილიონი გირვანქა ღირს და ბენიტესის სერიოზული სამიზნეა. იმასაც იხსენებენ, ქართველის გადაბირებას ორი წლის წინ „ჩელსი" რომ ცდილობდა.

ამავე გაზეთის ცნობით, „ლივერპულის" მწვრთნელი და მეპატრონეები სატრანსფერო თანხების ოდენობასა და შესაბამისად, კალაძის შესაძლო გადაბირების საკითხებზე ორიოდ კვირაში დაილაპარაკებენ.




# სათასო ჯგუფობა ჩამთავრდა



ამერელმა დიმიტრი ტატანაშვილმა (№18) „სპარტაკს" ორი გოლი გაუტანა

ბადრი კილაძის ფოტო

## ახლა ერთი ერთზე ბრძოლებია

### მაგრამ ეს ჩხუბი რა უბედურებაა?!

საქართველოს თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპი გუშინ დასრულდა და ამ დღეებში თასისთვის მებრძოლნი სამეოთხედფინალოდ დაწყვილდებიან.

ბოლო ტურის მთავარი ამბავი კი, სწორედ იქ მოხდა, საიდანაც სენსაციას ადრევე მოელოდნენ. ჭიათურაში პირველლიგელმა „მაღაროელმა" „ვიტ ჯორჯია" ჯგუფში ჩატოვა.

ოღონდაც, მატჩის ბოლო წუთებზე დატრიალებულ ამბებს კი ნაღდად არ ველოდით — ჩხუბი ატყდა და მატჩი ჩაშლის პირასაც მივიდა.

ჯგუფური ეტაპის სტატისტიკა კი ამგვარია: სამმა გუნდმა, „ტორპედომ", „ლოკომოტივმა" და „კახეთმა" სათასო ბატალია უქულოდ დაასრულეს. ყველაზე შედეგიანი თასის მფლობელი „ამერია", რომელმაც სხვებზე მეტი ქულაც დააგროვა და ყველაზე მეტი გოლიც გაიტანა. ყველაზე ცოტა გოლის გამშვები კი, „მაღაროელია".

მეოთხედფინალის წილისყრის წინ კი ასეა:

| განთესილები | განუთესავები |
| --- | --- |
| **ამერი** | **სპარტაკი** |
| **დინამო** | **მაღაროელი** |
| **ბორჯომი** | **ოლიმპი** |
| **ზესტაფონი** | **დილა** |

ჩერნიგორიის ნაკრების მწვრთნელ ზორან ფილიპოვიჩთან საქართველოს არც თუ სასიამოვნო მოგონება აკავშირებს. თბილისის „დინამო“ 11 წლის წინ ევროსარბიელზე საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, მეთექვსმეტედფინალის გზაზე ჩვენებმა მოსკოვის „ტორპედო“ დაამარცხეს და შემდეგ პორტუგალიურ „ბოავიშტას“ შეხვდნენ. თბილისში კახა გოგიჩაიშვილის გოლით „დინამომ“ 1:0 მოიგო, თუმცა ორ კვირაში... პორტუში ცოდვის ტრიალი იყო, „ბოავიშტამ“ თბილისელებს ერთბაშად ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა და გათამაშებას ჩამოაშორა. აი, სწორედ იმ „ბოავიშტას“ მწვრთნელი გახლდათ ზორან ფილიპოვიჩი, ვინც ახლა ჩერნიგორიას ხელმძღვანელობს, ეს ქვეყანა კი, მოგეხსენებათ, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს მეტოქეა.

54 წლის ფილიპოვიჩს არც ისე სახელიანი სამწვრთნელო კარიერა დაეკვეხნება. ხსენებული „ბოავიშტას“გარდა, ის 1988-93 წლებში ასევე პორტუგალიურ „სალგეიროუშს“ ხელმძღვანელობდა, შემდეგ „ბეირა მარის“ და სერბულ „ცრვენა ზვეზდას“. ჩერნიგორიის ნაკრები მან წლეულს ჩაიბარა და პირველ მეტოქედ, 24 მარტს, უნგრეთი ჰყავდა. ფილიპოვიჩის შეგირდებმა 2:1 მოიგეს.

ჩერნიგორიის ნაკრების მწვრთნელს პირველად სამხრეთ აფრიკაში, შესარჩევის წილისყრის შემდეგვე დავუკავშირდით, მაგრამ მაშინ საუბარი არ გამოგვივიდა, მერე დავილაპარაკოთო, გვითხრა ზორან ფილიპოვიჩმა. ეს „მერე“ კი გუშინ იყო...

# პორტუგალიიდან ჩერნიგორიამდე

## ფილიპოვიჩს დინამო ახსოვს, საქართველოს კი არ იცნობს



## ნუ დაგეგმავთ ქულებს!

— ძალიან ძნელ, მძიმე ჯგუფში მოვხვდით, კენჭისყრის შედეგებით უკმაყოფილო ვარ, თუმცა, ცხადია, განწყობა ოპტიმისტური მაქვს. ჩერნიგორია შესარჩევ ეტაპზე დებიუტანტია, მაგრამ ეს სულაც არ არის მთავარი ამბავი. როგორც დებიუტანტებს, ისე ვინც შემოგვხედავს, დაისჯება. სერბეთი და ჩერნიგორია როცა ერთი გუნდით თამაშობდნენ, ბევრი იყო ჩერნიგორიელი და მათ შესარჩევ ეტაპზე თამაშის საკმარისი გამოცდილება აქვთ.

— ღლესდღეობით ჯგუფში გამოკვეთილი აუტსაიდერი ჩანს?

— არა, უკვე განწირულიაო, ვერც ერთ გუნდზე ვიტყვი. ფავორიტად კი იტალიასთან ერთად ბულგარეთიც მიმაჩნია. ბოლო დროს ამ გუნდის რამდენიმე თამაში ვნახე და საკმაოდ კარგი წარმოდგენა შემექმნა. ბულგარელ ფეხბურთელებს ეტყობათ, რომ დიდი პოტენციალი აქვთ. მართალია, ბულგარეთის ნაკრებში ვარსკვლავი არ არის, მაგრამ შეკრული გუნდია.

— როგორ ფიქრობთ, ჩერნიგორიის მაქსიმუმი ამ ჯგუფში რა იქნება?

— ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ სამი-ოთხი თამაშის მოგება ჩვენთვის პრობლემა არ უნდა იყოს. იმედი მაქვს, ასეც იქნება და მაშინ ორი-სამი გუნდი ჩვენს უკან აღმოჩნდება. ჩერნიგორიისთვის ამ ეტაპზე მესამე ადგილიც კარგ შედეგად ჩაითვლება. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ შესარჩევი ჯგუფის კალენდარიც. გაარჩია საწყისი მატჩები სად და რომელ გუნდებთან გვექნება და იქნებ პლეი ოფშიც კი მოვხვდეთ.

— შესარჩევის დებიუტანტი გუნდისთვის პლეი ოფში მოხვედრა, დამეთანხმებით, სენსაციად შეფასდება...

— შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ჩერნიგორიაში ჩვენგან ყველა მაღალ ადგილს ელის და გვთხოვენ, რომ ყველა საშინაო მატჩი მოვიგოთ. შინ თუ იტალია ვერ დავამარცხეთ, ეს ჩვეულებრივი ამბავი იქნება, თუმცა მაინც: ჩერნიგორია იტალიასთანაც მოსაგებად ითამაშებს.

— გუნდის ლიდერად „რომას“ ფორვარდ მირკო ვუჩინიჩს მიიჩნევთ?

— დიახ, დღესდღეობით სწორედ ვუჩინიჩია ჩერნიგორიის ნაკრების პირველი ფეხბურთელი, თუმცა მხოლოდ მასზეც არ ვართ დამოკიდებულნი. ჩვენ სხვა კარგი ფეხბურთელებიც გვყავს.

— საქართველოს ნაკრებზე რა იცით?

— ბევრი არაფერი. საქართველოს ნაკრების შედეგებით წილისყრის შემდეგ დავინტერესდი და ჯერჯერობით მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები მაქვს. გავიგე, რომ საქართველოს ნაკრებში ახლა რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშობს და მათ დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მომავალ მეტოქეებზე ნელ-ნელა ყველანაირ ინფორმაციას შევაგროვებ და შესარჩევ მატჩებს სათანადოდ მომზადებულები შევხვდებით. ისე კი, ჩერნიგორიასთან ქულების მოპოვებას ნურც საქართველო დაგეგმავს და ნურც სხვა გუნდი.

— თბილისში თქვენს გუნდს ადრეც უთამაშია. გახსოვთ „დინამო“ — „ბოავიშტას“ უეფას თასის მატჩები?

— დიახ, მახსოვს, პორტუგალიაში ჩვენ დიდი ანგარიშით მოვიგეთ. მაშინ მეტოქე ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა და რამდენიმე ფეხბურთელი უზადო ტექნიკით გამოირჩეოდა. მათი სახელები ახლა არ მახსოვს. მაშინ ვფიქრობდი, რომ ისინი დიდ ფეხბურთს ითამაშებდნენ, თუმცა ახლა არ ვიცი, ვინ სად არის.

— 20 წლის თქვენებური ილია სპასოევიჩი კი ახლა სწორედ „დინამოში“ თამაშობს. რას იტყვით ამ ფეხბურთელზე?

— სპასოევიჩი ამას წინათ ჩერნიგორიის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიძახეს. ვფიქრობ, ის საკმაოდ ნიჭიერი და პერსპექტიული ფეხბურთელია და თუ თამაში ასევე გააგრძელა, ეროვნულ გუნდშიც დავუძახებთ. ჩერნიგორიის ნაკრებში ყველაზე ძლიერი თავდასხმის ხაზია და ნაკრებში დასამკვიდრებლად სპასოევიჩს ბევრი კონკურენტი ეყოლება. ისე კი, საქართველოს ნაკრებზე გარკვეულ ინფორმაციას სპასოევიჩისგანაც ველი...

**კობა ინასარიძე**

# მყვირალა ბოსკამპის ჩუმი გუნდი

**თბილისის** „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი გუშინ ბელგიური „დენდერის“ თავკაცად დანიშნეს.

ბელგიის იუპილერლიგის გუნდი 13 ტურის შემდეგ 9 მარცხით ცხრილის ფსკერზეა. ბოლო შვიდი მატჩიდან „დენდერმა“ ხუთი წააგო და მყვირალა ბოსკამპმა ქვემოდან უნდა ამოიყვანოს.

საქართველოდან წასული ჰოლანდიელი „გენკში“, საამიროების „ალ ვასლიში“, ქუვეითის „კაზმაში“, ინგლისურ „სტოკში“ და „სტანდარდში“ მუშაობდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვლასტიმილ პეტრჟელა: დამიბრუნეთ აბრამიძე!

**ბაქოს** „ნეფთჩის“ ჩეხმა თავკაცმა ვლასტიმილ პეტრჟელამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ძალიან სურს ვალერი აბრამიძის გადაბირება.

აბრამიძე „ნეფთჩიში“ ორი წლის წინ თამაშობდა, მერე აზერბაიჯანულ „ლენქორანში“ გადავიდა, ახლახან კი მახაჩყალურ „ანჟისთან“ გააფორმა კონტრაქტი და...

ვერ გეტყვით, რამდენად მოახერხებს პეტრჟელა სურვილის ასრულებას, თუმცა ის კი შევიტყვეთ, რომ მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია.

თუ აბრამიძის ტრანსფერი გამოვიდა, იგი მეორე ქართველი იქნება ბაქოურ „ნეფთჩიში“ გიორგი ადამიას შემდეგ.

**კახა ზალამბერიძე**

# გაფრინდა პირველი მერცხალი



ნიკა ოსეფაშვილის გოლი ინგლისელთა კარში

ბაჩანა ქითილაშვილის ფოტო

**საქართველო 4:3 ინგლისი**

**1:0 ბოკერია (3), 2:0 ასათიანი (5), 2:1 ბელინგერი (8), 2:2 ჰარისონი (11), 3:2 ოსეფაშვილი (13), 4:2 ნეფარიძე (33), 4:3 ბელინგერი (40)**

**საქართველო: ზაქაიძე, კუბლაშვილი, იოსებიძე, ჩალაძე, ცნობილაძე, დარჩია, ოსეფაშვილი, კალაშვილი, ბოკერია, ასათიანი, ნეფარიძე, გაბუნია, მშვიდობაძე, ზუმბაძე**

**მწვრთნელი: პეტრე თაბუკაშვილი**

**ინგლისი: ტორნტონი, უოტსონი, ალანსონი, ბელინგჰემი, მედისონი, კოლი, ტორიეფი, ჰარისონი, დელაინი, ტაკნოტი, ბადი, ბუდლოფი, ბელინგერი**

**მწვრთნელი: გრემ დელი**

**თამაში** ხეირიანად არც დაწყებულიყო, ქართველი ფუტსალისტები არჩილ ბოკერიას ტექნიკური დარტყმით და ავთანდილ ასათიანის მძლავრი ჯარიმით, 2:0 რომ იგებდნენ. მოკლედ, ქართველებმა ცეცხლოვნად დაიწყეს ინგლისთან მატჩი, რომელიც, მართალია, ამხანაგური იყო, მაგრამ გუშინდელი მოგება ჩვენს ნაკრებს საკმაოდ ასწევდა რეიტინგში.

ინგლისის ნაკრები ესპანურთან, იტალიურთან, რუსულთან ან პორტუგალიურთან ახლოსაც ვერ მივა, მაგრამ არც მთლად ისეთი უბადრუკია, ჩვენები იოლად რომ მორეოდნენ. პეტრე თაბუკაშვილის გუნდი გაცილებით ლამაზად, ტექნიკურად თამაშობდა და ზოგჯერ ისეთ თავბრუს ახვევდნენ ბრიტანელებს, ფილმი „პირველი მერცხალი“ გამახსენდა, ოღონდ მაშინ როლები შეცვლილი იყო — ინგლისელები აქეთ ატარებდნენ გაკვეთილს.

ჰოდა, ასეთი უპირატესობა ჰქონდა ტექნიკაში საქართველოს, მაგრამ მაინც მინიმალურად მოიგო.

მეორე ტაიმში ჩვენები დაიღალნენ, ინგლისელები კი საკმაო ხანს უტევდნენ.

თამაშის დებიუტზე ვთქვით, მაგრამ მე-11 წუთზე უკვე 2:2 იყო — ჯერ ლუკ ბელინგერმა ცხრიანში შეჭედა შორიდან, მერე კი სტივ ჰარისონს მოაჯდა ფეხზე ბურთი იღბლიანად. ფრე დიდხანს არ ყოფილა, ნიკა ოსეფაშვილმა ლამაზი კომბინაცია დაასრულა გოლით და ტაიმიც 3:2 მორჩა, თუმც ქართველთა მეკარემ რომ ათმეტრიანი საჯარიმო დარტყმა მოიგერია, ესეც ავღნიშნოთ.

მეორე ნახევრის უმეტესი დრო ინგლისელებისა იყო, თუმც როგორც კი ქართველები ბურთს მოიგდებდნენ, სტუმრებს დიდი ჯაფა-ენერგია ადგებოდათ.

4:2 ბექა ნეფარიძემ გახადა — ჯარიმიდან გაიტანა. თამაშის დასრულებამდე 8 წამით ადრე კი ლუკ ბელინგერს ათმეტრიანის დარტყმის უფლება მიეცა და ინგლისმაც მინიმალურად წააგო.

დღეს 17 საათზე საქართველო და ინგლისი ისევ „ქარიშხალაში“ შეეჭიდებიან ერთმანეთს.

**ილია ნანობაშვილი**

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## ჯგუფური ეტაპი. მეექვსე ტური




დიმიტრი ტატანაშვილი ორი გოლით გამოირჩა

# თასი სათასოდ და საჩემპიონატოდ

თბილისი. 27 ნოემბერი. 14 საათი. ამერი. 300 მაყურებელი

## ამერი 2:0 სპარტაკი

1:0, 2:0 ტატანაშვილი (19, 29)

ტატანაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (72, ააცილა)

| | |
|---|---|
| **ამერი:** ქვაჩახია, კაკაშვილი (კობაური 46), დავითიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დოლიძე (ა. ალავიძე 68), ბოლქვაძე (მეხხი 46), დეკანოსიძე, დიდავა, ჯელაძე, ტატანაშვილი. სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი, ვარდოსანიძე, შალამბერიძე, ცხადაძე. **მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე | **სპარტაკი:** კოდალაევი, კეტაშვილი (დათუნაშვილი 46), პარამონოვი, ქემოკლიძე, მამუკაშვილი (თექთუმანიძე 46), ხიდეშელი, ივანაშვილი, კუპრეიშვილი, გოგოხია, დარბაიძე (კ. ავალიანი 69), ტატაევი. სათადარიგონი: ქვილითაია, ბახტურიძე, ჯანელიძე, გოგოლაძე. **მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი |

**გაფრთხილება:** ხიდეშელი (72)

**მსაჯები:** მ. ურუშაძე, ბ. ქიქინაძე, ს. გურგენიძე, ა. ნონიკაშვილი

**დამკვირვებელი:** რ. ტალიაშვილი

**კახა შალამბერიძე**

**ვინ** პირველზე და ვინ მეორეზე — გლდანში გასარკვევი ესღა იყო და „ამერმა" ნახევარ საათში მოაგვარა საქმე. დიმიტრი ტატანაშვილმა ჯერ დავით ბოლქვაძის პასით იხეირა, მერე გიზო ჯელაძეს დაუფასა გარჯა და 2:0.

ტატანაშვილს მეორე ტაიმშიც შეეძლო თავის გამოჩენა — პენალტიც გააცუდა, მეკარესთან პირისპირ გასვლითაც ვერ იხეირა და სამიოდ მეტრიდან დარტყმულმაც არ უწია მიზანს. მოკლედ, ამერელთა ეულმა ცენტრფორვარდმა გუშინ ყველაფერი მოასწრო...

სხვათა შორის, ამერელ ტატანაშვილს აქამდე პენალტი არ გაეცუდებინა...

როგორც ვთქვით, მასპინძლებმა ნახევარ საათში გადაწყვიტეს მატჩის ბედი და უპირატესობა არც მერე დაუთმიათ. შეიძლება ითქვას, „ზესტაფონთან" მოახლოებული საჩემპიონატო მატჩის წინ „ფვითლებს" ნაყოფიერი ვარჯიში გამოუვიდათ.

თამაში მომენტებით დახუნძლული არ ყოფილა, თუმცა რაც იყო, 99 პროცენტი ცხინვალელთა კართან ვნახეთ. ერთადერთი, რითაც „სპარტაკი" „ამერს" დაემუქრა, პირველ ტაიმში იყო, თუმცა „დაემუქრა" ცოტა ზედმეტი გვგონია — ზურაბ ქვაჩახიამ თავდამსხმელს ვერ ააცილა მოგერიებული ბურთი და... შეცდომა თავადვე გამოასწორა.

რევაზ გოცირიძე, დენის დობროვოლსკი და სულიკო დავითაშვილი — გიორგი ჩიხრაძეს ეს სამეული არ ჰყავდა გუშინდელ მატჩში. გოცირიძე და დობროვოლსკი დისკვალიფიცირებულნი იყვნენ, დავითაშვილის არყოფნა კი ახალი ამბავი არ არის, თუმცა აქ იმად ვახსენეთ, რომ სულიკომ ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიში დაიწყო.

დავითაშვილმა კუნთი სწორედ „სპარტაკთან" საგარეო მატჩში გაიწყვიტა და მას შემდეგ მკურნალობს, თუმცა საეჭვოა, წლეულს თამაში შეძლოს...

# ზესტაფონს თავისტკივილი არ სცოდნია

ზესტაფონი. 27 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური

## ზესტაფონი 3:0 დილა

1:0 იონანიძე (33), 2:0, 3:0 ხიდეშელი (45, 85)

| | |
|---|---|
| **ზესტაფონი:** რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, შ. ლონლაძე, გ. ხიდეშელი, უ. ლობჟანიძე, ჟონატასი, კ. ჩხეტიანი, ვიეირა (კესანი 79), ნ. კვასხვაძე (ბიტოო 66), გ. ნუგ. ჭელიძე, იონანიძე (საცერაძე 68). სათადარიგონი: ჭანტურია, გ. ნოდ. ჭელიძე, ფიფია, მაისურაძე. **მწვრთნელი:** თემურ მახარაძე | **დილა:** კეჩხუაშვილი, ბალაშვილი, ბალიაშვილი, ლაცაბიძე, დ. ხანიშვილი, ნ. ნოზაძე, ტლაშაძე, ი. ლომიძე (იჩქითი 54), შერმადინი (კურტანიძე 59), ბ. ჩიტაია, ლ. თურმანიძე (ი. თაყაძე 68). სათადარიგონი: თ. ილურიძე, მასურაშვილი, სადალაშვილი, ჩუკვუ. **მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი |

**გაფრთხილება:** ლომიძე

**მსაჯები:** მ. ბეუქლიშვილი, თ. ხუჭუა, ა. გუნთაძე, პ. დოგრაშვილი

**დამკვირვებელი:** დ. მენთეშაშვილი

**ოთარ მხეიძე**

„**ამერისა**" არ იყოს, „ზესტაფონსაც" პირველადგილოსნის ვინაობა ჰქონდა გასარკვევი და გორის „დილასთან" მატჩში საწადელს უპრობლემოდ მიაღწია.

შეხვედრა ზესტაფონელთა აშკარა უპირატესობით კი დაიწყო, თუმცა ანგარიშის გახსნა მასპინძლებმა მხოლოდ 33-ე წუთზე მოახერხეს — კახა ჩხეტიანის მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს ვეტერანმა ზურაბ იონანიძემ თავი დაუხვედრა და თავისიანები დააწინაურა — 1:0.

ზესტაფონელები ამის შემდეგაც ფლობდნენ უპირატესობას და პირველი ტაიმის ბოლო წუთზე მეორედაც იხეირეს — ლამაზი დარტყმით თავი გიორგი ხიდეშელმა გამოიჩინა.

მეორე ტაიმშიც პირველის დარი სცენარი ვნახეთ — მასპინძლები ბევრს უტევდნენ, თუმცა გოლის გატანა მხოლოდ ერთხელ მოახერხეს. 85-ე წუთზე გიორგი ხიდეშელმა მეორედაც იყოჩაღა და „ზესტაფონს" 3:0 მოაგებინა.

გიორგი ხიდეშელი



# ვლადიმერ ხაჩიძე წარმოგიდგენთ...

თბილისი. 27 ნოემბერი. 14 საათი. მერანი. 100 მაყურებელი

## მერანი 1:2 ბორჯომი

0:1 მემარნიშვილი (36პ), 0:2 ყველაშვილი (48), 1:2 ნოზაძე (60პ)

| | |
|---|---|
| **მერანი:** სეფიაშვილი, ა. კალაძე, ტყეშელაშვილი, შველიძე, ქემაშვილი, ბაკურაძე (ხუჭუა 62), ბ. ნოზაძე, ქოქიაშვილი (კაკულია 58), ი. შენგელია (ბურჯანაძე 61), ბ. ღლენტი, იაკობ დეისაძე. სათადარიგო: მამარდაშვილი. **მწვრთნელი:** დავით ეჯიბიშვილი | **ბორჯომი:** შეყრილაძე, თ. ლონლაძე, ლ. მერებაშვილი, ქარქუზაშვილი, აკობია, კ. ხანიშვილი (ლომიძე 80), ნერგაძე, გოგიჩაიშვილი (დევიძე 46), მემარნიშვილი, თედიაშვილი, ყველაშვილი. სათადარიგო: ნატროშვილი. **მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე |

**გაფრთხილება:** კალაძე (48), ლონლაძე (59)

**გაძევება:** აკობია (55)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია, გ. ყრუაშვილი, ზ. ბერულავა, ლ. სილაგავა

**დამკვირვებელი:** ა. შალამბერიძე

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**საოცარი** მწვრთნელია ვლადიმერ ხაჩიძე — სეზონის დაწყებამდე სამიოდ დღით ადრე გუნდს შეკრებს და ისე აწყობს, გეგონება, ბავშვობიდან მოჰყავსო. ჩემპიონატში ხომ ყოჩაღად გამოიყურება „ბორჯომი", თასზე კი ჯგუფურ ეტაპზე სულაც პირველი ადგილი დაიკავა.

ლაშა ჭელიძე, შოთა ჯიქია, შოთა ბაბუნაშვილი და შოთა გრიგალაშვილი — ამათგან სამი დისკვალიფიკაციის გამო არ თამაშობდა, მეოთხე კი მთავარმა მწვრთნელმა დაასვენა. ამას დაუმატეთ 55-ე წუთზე გაძევებული ლევან აკობია და ხელში ნახევარი გუნდი შეგრჩებათ, „ბორჯომმა" კი მაინც მოიგო.

კურორტელები მეოთხედფინალში გასულები კი იყვნენ, მაგრამ ჯგუფში პირველობა სურდათ. ამ მიზნისთვის მათ ფრეც აძლევდათ ხელს და თამაშიც ფრთხილად დაიწყეს. „მერანს" კი პირიქით, მეოთხედფინალისთვის მოგების გარდა სხვა შედეგი არ აინტერესებდა, თანაც მარტო თავის თავზეც არ იყო დამოკიდებული: „ოლიმპი" — „ბათუმი" ფრედ უნდა დასრულებულიყო.

„მერანს" ანგარიშის გახსნა მე-14 წუთზე მართებდა — ლევან ბაკურაძის ფლანგიდან ჩაწოდებული ბექა ღლენტმა 7-8 მეტრიდან მიწაზე დაუშვებლად გაგზავნა კარში, თუმც ბექა შეყრილაძემ შესაშური რეაქცია გამოავლინა, ეს იყო და ეს, „ბორჯომს" პირველ ტაიმში მეტი შეცდომა არ დაუშვია და დანარჩენი საგოლე მომენტები მისი იყო.

25-ე წუთზე ამირან ყველაშვილმა მოედნის ცენტრში ბურთი ბექა ნოზაძეს აართვა, გზადაგზა გიორგი ტყეშელაშვილსაც გასცდა და თითქმის მეკარესთან პირისპირ გასულმა კონსტანტინე სეფიაშვილს სუსტად დაურტყა.

სამ წუთში დავით გოგიჩაიშვილმა შესანიშნავი პასით მეკარეს შეატოვა კობა ხანიშვილი, თუმც ბორჯომელმა ცუდი გადაწყვეტილება მიიღო და საბოლოოდ კარს ააცილა.

ბორჯომელთა აქტიურობამ შედეგი მაინც გამოიღო: ამირან ყველაშვილი საჯარიმოში შევიდა და მცველს თავი წააქცევინა, გიორგი მემარნიშვილმა კი სეფიაშვილს თერთმეტი მეტრიდან შანსი არ დაუტოვა.

მეორე ტაიმი მერანელთა აქტიურობით დაიწყო და ზედიზედ რამდენიმე კუთხური ჩააწოდეს, თუმც ბორჯომელთა კონტრშეტევა გაეპარათ და...

კობა ხანიშვილმა ნოდარ დევიძესთან მოედნის ცენტრში კედელი გაითამაშა, მერე მთელი მარჯვენა ფლანგი ჩაირბინა და საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი ყველაშვილმა ვარდნაში გადაგზავნა ბურთი კარში.

მალე „ბორჯომი" კაცნაკლული დარჩა და „მერანმაც" უმალ ისარგებლა — იაკობ დეისაძე მცველთან ორთაბრძოლისას წაიქცა და პენალტი ბექა ნოზაძემ ზუსტად დაარტყა — 1:2.

ამ გოლს თითქოს „მერანის" თამაში გარდატეხა უნდა შეეტანა, მაგრამ სტუმრები თავს კარგად იცავდნენ. ის კი არა, ორჯერ გოლის გატანაც მართებდათ: 65-ე წუთზე მემარნიშვილის ჩაწოდებული ჯარიმის შემდეგ გიორგი ნერგაძემ თავით ვარდნაში სცადა გატანა, თუმც მცირედით ააცილა; მატჩის ბოლოსკენ კი იმავ მემარნიშვილის ჯარიმა ხარიხას წაეხახუნა.

www.pfl.ge

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## ჯგუფური ეტაპი. მეექვსე ტური

# დინამო შვიდით დამშვიდდა
## მერებაშვილმა ლოკომოტივი დახუთა

თბილისი. 26 ნოემბერი. 14 საათი. ეროვნული. 100 მაყურებელი

### დინამო 7:2 ლოკომოტივი

1:0 მერებაშვილი (4), 2:0 ხუციშვილი (12), 3:0 მერებაშვილი (17), 3:1 ჩაგელიშვილი (42), 4:1 მერებაშვილი (57), 5:1 ოდიკაძე (64), 6:1 დილმელაშვილი (69), 5:2 ჩაგელიშვილი (80), 7:2 დილმელაშვილი (86)

დინამო: ოვონო, შ. კაშია (თომაშვილი 76), ზელიჩი, კრშკო, დობეში, ოდიკაძე, ხმალაძე (ს. კობახიძე 26), დილმელაშვილი, გ. მერებაშვილი (ფეიქრიშვილი 69), მ. ხუციშვილი, აკირემი
სათადარიგონი: გრიშიკაშვილი; გ. კაშია, ფირცხალავა, ვაწაძე
მწვრთნელი: დუშან უჰრინი

ლოკომოტივი: გვარამაძე, ა. კობიაშვილი, დ. ფოფხაძე, გ. კვახაძე, ქუხილავა, ბუდალაშვილი, ლალაძე, ბერიძე, გულორდავა (მ. ღლენტი 81), მიქაძე (იმედაძე 60), დ. ჩაგელიშვილი
სათადარიგონი: ცერცვაძე; ხოხონიშვილი, ტიკურიშვილი, მალიჩავა
მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, დ. კვიტენაძე, ბ. მჟავანაძე, ო. ხეცაძე

ილია ნანობაშვილი

რა უნდა დაწერო თამაშზე, სადაც ერთი გუნდი დგას, მეორე კი, რასაც უნდა, იმას აკეთებს და მეტოქეს აშკარად იცოდებს? „დინამომ" შვიდი გაიტანა, მაგრამ ერთი ამდენი მომენტი ქარს გაატანა. რკინიგზელთაგან კი დავით გვარამაძე შეგვეცოდა — გამოცდილი მეკარე გოლების ასეთ კორიანტელს ნაღდად არ იმსახურებდა და კიდევ კარგი, რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია, თორემ „ეროვნულის" ტაბლოზე „დინამოს" გასწვრივ ორნიშნა რიცხვი აინთებოდა.

„ლოკომოტივმა" სათასო ჯგუფი ისე ჩაამთავრა, ექვსი მატჩიდან ქულაც ვერ აიღო, ხოლო ჯამში 20 გოლი გაუშვა, ანუ საშუალოდ ერთ თამაშში სამზე მეტი.

გუშინ უჰრინის გუნდს ისევ გიორგი მერებაშვილმა ულიდერა, ვინაც სამი დღის წინანდელ საჩემპიონატო შეხვედრაში დუბლი შეუსრულა ვაკელებს, გუშინ ჰეთ-თრიქი გააკეთა და მწვრთნელს რომ არ შეეცვალა, ვინ იცის, კიდევ მოესწრო გატანა. მერებაშვილმა პირველი ბურთი დავით ოდიკაძის, მეორე კი ჟორჟ აკირემის პასით შეაგდო, ხოლო მესამე თავისი წამოწყებული შეტევისას მიითვალა, რომელიც, წესით, აკირემის უნდა დაესრულებინა, მაგრამ გაბონელის ფეხებში აბლანდულ ბურთს გიორგიმ კარისკენ უცვალა გეზი.

ორი გოლი კაპიტანმა დავით დილმელაშვილმა მიითვალა. ჯერ პირისპირ გასვლით გაიტანა, მერე კი გულვერდ თომაშვილის ჩაწოდებულს თავური დაჰკრა. მიხეილ ხუციშვილმა და დავით ოდიკაძემ კი შორი დარტყმებით შეაგდეს — ოდოს რიკოშეტი შეეშველა.

რაც შეეხება გვარამაძეს, მან ყველაზე რეალური შანსები შეცვლაზე შესულ გიორგი ფეიქრიშვილს მოუსპო, ორჯერ აუღო პირისპირ შეყრისას.

გავითვალისწინოთ, რომ დინამოელებს არ ჰყავდათ ჩერნიგორიელი ილია სპასოევიჩი, ხოლო ლევან ხმალაძემ პირველ ტაიმში ფეხი იტკინა და უჰრინმაც ამიტომ შეცვალა. დანაკლისი „ლოკომოტივსაც" ჰქონდა, თუმც 2:7 წაგება ნაღდად არ ეპატიება.

„დინამოს" კარში ორი გოლის გატანა ყველას როდი შეუძლია, ჰოდა, ჭაბუკი დავით ჩაგელიშვილის გარჯაც ავღნიშნოთ — შესვენებამდე ახლო მანძილიდან გამოზომილი დარტყმით ჩასვა ბურთი დიდიე ოვონოს კარში, მეორე ტაიმში კი საჯარიმოს მისადგომებიდან შეაგდო.





ჰეთთრიკოსანი გიორგი მერებაშვილი (№17)

ჭიათურა. 27 ნოემბერი. 14 საათი. თ. მაღრაძე. 1 000 მაყურებელი

### მაღაროელი 1:1 ვიტ ჯორჯია

1:0 ბრეგვაძე (40), 1:1 ადამაძე (80)

მაღაროელი: დოლაძე, ქირია, შუკაკიძე, გ. ბრეგვაძე, ეგაძე, გ. ილურიძე, ი. ზაბახიძე, სეფერთელაძე, გამცემლიძე, მუშკუდიანი, ხაჭიპერაძე
სათადარიგონი: ბადურაშვილი, ო. მგელაძე, ტყებუჩავა, ლაშხი, ზ. ტყემალაძე, მიშველიძე, მ. სამხარაძე
მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე

ვიტ ჯორჯია: მიქაბერიძე, პირველი, კაიშაური, ადამაძე, კასრაძე (ჯიქიძე 55), ბეჟვაია, ინჯგია, ვასაძე (ჯანელიძე 55), მაისაშვილი, ჩიკვიპარტია (ღურბელეიშვილი 88), ბერიაშვილი
სათადარიგონი: კირთაძე, ვეკუა
მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე

გაფრთხილება: მიქაბერიძე (88), ილურიძე (88)

გაძევება: მიქაბერიძე (88), ბერიაშვილი (88)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, მ. ელიკაშვილი, ზ. ხუციშვილი, კ. ქაჩუა

დამკვირვებელი: ე. სილაგავა

# შეაგინა თუ დაარტყა?
## გასარკვევი ეს და სასჯელი დარჩა

ნუკრი ლოლაძე ჭიათურიდან

პირველლიგელ „მაღაროელს" მეოთხედფინალში გასასვლელად ფრეც აძლევდა ხელს, თბილისელებს კი მოგება სჭირდებოდათ და ყველას გასაკვირად, ჭიათურას მაინც მეორე შემადგენლობით ეწვივნენ.

„მაღაროელის" ფორვარდმა ზაურ ხაჭიპერაძემ იმდენი ხელსაყრელი მომენტი გააცუდა, ბარე ხუთ თამაშს ეყოფოდა. მასპინძელთა გოლი კი პირველ ტაიმის მიწურულს გოჩა ბრეგვაძემ თავურით გაიტანა.

ვიტელთაგან ბოლოსკენ გურამ ადამაძემ თავითვე გაქვითა და სტუმრებმაც თამაშის გადასარჩენად გაიწიეს. „მაღაროელი" კი ცხადია, არ ჩქარობდა. სიტუაცია დაიძაბა და გუნდი-გუნდზე საქმის გარჩევა მოჰყვა. არბიტრმა კრიჭაშვილმა სტუმართა მეკარე არდალიონ მიქაბერიძეს ყვითელი ბარათი უჩვენა, მეკარე კი, როგორ ტრიბუნიდან გამოჩნდა, მსაჯს ხელით შეეხო, რასაც მისი გაძევება მოჰყვა. ამით გაბრაზებულმა გიორგი ბერიაშვილმა შეიგინა — კიდევ ერთი წითელი ბარათი.

მერე გასახდელისკენ მიმავალი მიქაბერიძე და ერთ-ერთი ჭიათურელი წაეკიდნენ. ატყდა თავპირის მტვრევა. მატჩი რამდენიმე წუთით შეწყდა. დამკვირვებელი ელგუჯა სილაგავაც ჩავიდა მოედანზე, მსაჯებთან ითათბირა, თითქოს თამაშიც უნდა ჩაშლილიყო, მაგრამ მატჩი მაინც ჩამთავრდა.

ნამატჩევს სილაგავამ კრიჭაშვილს უთხრა, დავინახე, როგორ შეგეხო მიქაბერიძეო, მსაჯი კი ამტკიცებდა, არ შემხებია, მხოლოდ შემაგინა და იმიტომ გავაგდეო.

რუსთავი. 27 ნოემბერი. 14 საათი. ფოლადი

### ოლიმპი 1:0 ბათუმი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, კ. გუდურაშვილი, დ. კურტანიძე, ვ. ელისაბედაშვილი

ქუთაისი. 27 ნოემბერი. 14 საათი. ტორპედო

### ტორპედო 0:1 მესხეთი

მსაჯები: ვ. გუმბერიძე, ს. სპიცინი, დ. სანოძე, ჯ. ბუიშვილი

თელავი. 27 ნოემბერი. 14 საათი. გ. ჩოხელი

### კახეთი 1:2 მგლები

მსაჯები: გ. დოგრაშვილი, ი. კაკაბაძე, ი. მაჩიტიძე, ი. ურუშაძე

| A ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 6 | 5 | 0 | 1 | 18:4 | 15 |
| სპარტაკი | 6 | 4 | 0 | 2 | 9:4 | 12 |
| მესხეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 7:7 | 9 |
| ტორპედო | 6 | 0 | 0 | 6 | 1:20 | 0 |
| **B ჯგუფი** | | | | | | |
| დინამო | 6 | 4 | 1 | 1 | 16:8 | 13 |
| მაღაროელი | 6 | 3 | 2 | 1 | 6:3 | 11 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 13:7 | 10 |
| ლოკომოტივი | 6 | 0 | 0 | 6 | 3:20 | 0 |

| C ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 6 | 4 | 0 | 2 | 9:7 | 12 |
| ოლიმპი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:5 | 10 |
| ბათუმი | 6 | 2 | 1 | 3 | 3:5 | 7 |
| მერანი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:4 | 5 |
| **D ჯგუფი** | | | | | | |
| ზესტაფონი | 6 | 4 | 1 | 1 | 16:6 | 13 |
| დილა | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 11 |
| მგლები | 6 | 3 | 1 | 2 | 11:10 | 10 |
| კახეთი | 6 | 0 | 0 | 6 | 3:18 | 0 |

## საქართველოს ჭაბუკთა ლიგა

**1990 წელს დაბადებულები**

ცენტრალური ზონა

ამერი 5:1 ოლიმპიკი
დინამო 3:1 მთვარის გლობუსი
თ. ს. აკადემია 0:1 მერანი
იმედი 0:2 35-ე სკოლა

**1991 წელს დაბადებულები**

დასავლეთი ზონა

მგლები 4:0 მესხეთი
მართვე 1:1 ბორჯომი
ზესტაფონი 1:1 დილა

**1992 წელს დაბადებულები**

დასავლეთი ზონა

მგლები 4:2 მესხეთი
მართვე 3:0 ბორჯომი
ზესტაფონი 0:2 დილა

# ჩვენი მეტოქის ახალი მეტოქენი

შოტლანდია, უელსი, ჩრდილოეთ ირლანდია და 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში საქართველოს მეტოქე ირლანდია „სელტიკის თასზე" ითამაშებენ.

ეს ოთხი ქვეყანა ახალი ტურნირის დაფუძნებაზე ორშაბათს შეთანხმდა. შეჯიბრი ორ წელიწადში ერთხელ გაიმართება და ერთწრიანი იქნება. ეს ნიშნავს, რომ ერთი გუნდი სამ მატჩს ითამაშებს (ერთს შინ, ორს — სტუმრად, ან პირიქით), მომდევნო ტურნირში კი სტუმარ-მასპინძელი შეიცვლება.

საორგანიზაციო საკითხებზე და კალენდარზე ოთხეული მუშაობას აგრძელებს.

„სელტიკის თასი" ბრიტანულ ნაკრებთა თამაშის ხარისხის გასაუმჯობესებლად მოიგონეს. 1984 წლის შემდეგ პირველად მოხდა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ხუთი ნაკრებიდან ერთიც ვერ გავიდა. ინგლისი ჯერ არ აპირებს „სელტიკის თასში" ჩაზიარებას.

„ჩვენ უნდა დაველოდოთ და ვნახოთ, რა იქნება მომავალ წელს" — თქვა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელმა.

ახალი ტურნირი 2009-ის აგვისტოდან დაიწყება.

# სერბულ-ესპანური კომბინაცია

## ბოიო თუ ბოიჩაო?




11 **წლის** იყო ბოიან კრკიჩი, როცა „ბარსა TV“-მ პირველად ჩამოართვა ინტერვიუ. მაშინ ბიჭუნა წუხდა, სახელგანთქმული რომ ვიქნები, ხალხი ესპანელთათვის ძნელადგამოსათქმელი კრკიჩის მაგივრად რას დამიძახებსო. „თუ როდისმე ცნობილი ფეხბურთელი გავხდი, საინტერესოა, გულშემატკივრები რას დამიძახებენ. მაგალითად, ვიტორ ბორბას მსოფლიო რივალდოს სახელით იცნობდა და იცნობს, მე კი რა უნდა შემარქვან, „ბოიო“ თუ „ბოიჩაო“? ესპანეთში ჩემი გვარის წესიერად არც დაწერა იციან და არც წარმოთქმა“ — განაცხადა წლების წინ „ბარსელონას“ მომავალმა ვარსკვლავმა.

დღეს კრკიჩი ჩვიდმეტისაა და პირენეებზე მისი ბრწყინვალე თამაშით იქაურებს აიძულებს, სერბული წარმოშობის გვარი დაიმახსოვრონ და სწორად წარმოთქვან. „მიხარია, რომ ოცნება ამისრულდა და „ბარსას“ მთავარ გუნდში მოვხვდი. ბედს ნამდვილად ვერ დავემდურები, ჯერჯერობით საქმე ძალიან კარგად მიდის“ — ამბობს ბოიანი.

2005-06-ის კამპანიაში ნორჩმა ვარსკვლავმა კატალონიური გრანდის ახალგაზრდულ გუნდში ითამაშა და 13 მატჩში 26 გოლი შეაგდო.

ორი წლით შემდეგ კრკიჩი გოლებს უკვე „კამპ ნოუზე“, ძირითადი გუნდის შემადგენლობაში ზეიმობს. შუალედში კი იყო ახალგაზრდული კოპა დელ რეი, სეგუნდა B დივიზიონში დებიუტი და უამრავი მცირე ჯილდო, მიღწევა, რომელიც ბოიანმა შაბათს გააუმჯობესა. „ბოიომ“ პრიმერა დივიზიონის მეცამეტე ტურში „უელვას“ გაუტანა. ეს მისი პირველი გოლი გახლავთ „კამპ ნოუზე“. თანაც ბოიანი „ბარსელონას“ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელად იქცა, ლეგენდარულ არენაზე ოფიციალურ მატჩში გოლი რომ გაუტანია.

აქამდე რეკორდი ლიონელ მესის, ბოიანის თანაგუნდელს ეკუთვნოდა. არგენტინელმა „კამპ ნოუზე“ თავისი პირველი გოლი 2005 წლის 1 მაისს „ალბასეტეს“ კარში შეაგდო. მაშინ „პულგა“ 17 წლის და 311 დღის გახლდათ, კრკიჩს კი შაბათს 17 წელი და 88 დღე შეუსრულდა.

მესი „ბარსას“ ახალგაზრდა ვარსკვლავთა სიაში მარტო აღარაა. ნორჩთაგან თავი პირველად „პულგამ“ გამოიჩინა, ახლა კრკიჩმაც გაიბრწყინა და ჯოვანი დოს სანტოსიც საყოველთაო აღფრთოვანებას იმსახურებს. გაი ასულინი და ტიაგო ალკანტარა ჯერჯერობით ამათსავით არ ჩანან, თუმც არც ის დროა შორს, როცა ძირითად გუნდში გაიბრწყინებენ.

სავსებით შესაძლებელია, ამ ბიჭებმა ერთ გუნდში იბურთაონ. ანუ მომავლის „ბარსელონა“ უფრო კატალონიაში დაფრთიანებული ყმაწვილების კლუბი იქნება, ვიდრე მოწვეული უცხოელი ლეგიონერების.

„პულგამ“ საამსეზონო პრიმერაში 8 გოლი უკვე გაიტანა და ესპანელთა „პიჩიჩის“, ანუ მთავარმეგოლის ტიტულის მაძიებელთა სიაში სევილიელ ლუიშ ფაბიანოსთან ერთად ლიდერობს. „ბოიომ“ კი, ასე თუ გააგრძელა, მალე „კამპ ნოუზე“ თითით საჩვენებელი არგენტინელი მესი კი არა, სერბული ფესვების მქონე კრკიჩი იქნება. ბოიანს „ბარსას“ ისტორიაში რიგით მეორე ახალგაზრდა დებიუტანტად ყოფნის პატივიც ეკუთვნის. კატალონიელთა მოიერიშე 17 წლის და 19 დღის იყო, პირველად „ბარსას“ მაისურათი მოედანზე რომ გამოვიდა. რეკორდი კი ძველჩაუქი პარერასია, რომელმაც 1928-29 წლების სეზონში მთავარი გუნდის მაისურა პირველად მაშინ მოირგო, როცა 16 წლისა და 364 დღის იყო. თან სადებიუტო მატჩში გოლიც გაიტანა.

კრკიჩი თავისი ნიჭით მარტო „ბარსელონაში“ როდი გამოირჩევა. იგი ესპანური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავია. „ბოიომ“ 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე პირველად 15 წლისამ ითამაშა, 2007-ში კი ეს ტურნირი „როხას“ ახალგაზრდებს მოაგებინა — ნახევარფინალსა კი ფინალში გადამწყვეტი გოლები შეყარა. ბოიანმა ამ ნაკრებთან ერთად კორეაში ჩატარებულ მუნდიალზეც ითამაშა, თუმც იგი ნახევარფინალში წითელი ბარათით დასაჯეს, ხოლო „როხამ“ ფინალში ვეღარ გაიმარჯვა. „კრკიჩი დიდი ფეხბურთელი იქნება. ალბათ სულ მალე ძირითად ნაკრებშიც ითამაშებს და თავის სიძლიერეს ყველას დაუმტკიცებს“ — თქვა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ანხელ მარია ვილარმა.

მოკლედ, „ბოიოს“ საქმე მართლა კარგად მიდის, თუმც ახალგაზრდა მობურთალს კიდევ ბევრი რეკორდი აქვს დასამხობი. მორიგ წარმატებას კრკიჩმა შეიძლება „ლიონთან“ დღევანდელ საჩემპიონთალიგო მატჩში მიაღწიოს. თუ ფრანგებს გოლი გაუტანა, ბოიანი ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი იქნება იმათგან, ვისაც ლიგაზე მეტოქის კარი დაულაშქრავს. ძველი რეკორდი განელი ოფორი-კაიესია, რომელმაც „ოლიმპიაკოსის“ რიგებში ლიგაზე გოლი მაშინ გაიტანა, როცა 17 წლის და 195 დღის იყო. კრკიჩს კარგი შანსები აქვს ძირითადში სათამაშოდ, რაც მას აფრიკელის რეკორდის დამხობას გაუადვილებს. თუმცა, „ბოიოს“ შეუძლია, არ იჩქაროს, „ბარსას“ ფეხბურთელი ოფორი-კაიეს მაშინაც გაუსწრებს, თუ გოლები „შტუტგარტთან“ მომავალ შეხვედრაში გაიტანა.

მისი საოცარი ნიჭი არავისთვის რჩება შეუმჩნეველი და მით უმეტეს თანაგუნდელთათვის. „კომპანიეროებმა“ იციან, რომ მათ გვერდით მორიგი ფენომენი თამაშობს, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდება. ანრი და ეტოო ბიჭუნას სასარგებლო რჩევებს აძლევენ, „ბოიოს“ სწრაფი საფეხბურთო განვითარებით მოხიბლულმა გაბი მილიტომ კი ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „კრკიჩი ძალიან ახალგაზრდაა, თუმცა საოცრად სწრაფად ვითარდება და შესანიშნავი ტექნიკისა თუ საგოლე ალღოს წყალობით ბრწყინვალე მომავალი აქვს გარანტირებული“.

**ლადო ხოფერიძე**



# ხაბი ალონსო ტრავმიანიც ფასობს

## ნადირობას ატლეტიკოც შეუერთდა

**ინგლისში** კვლავ ხაბი ალონსოსა და მადრიდის „ატლეტიკოს“ შორის სავარაუდო გარიგებაზე ალაპარაკდნენ. NEWS OF THE WORLD-ის ცნობით, „ათლეტთა“ აგენტები ცდილობენ, „ლივერპულის“ ნახევარმცველი გაისად ესპანეთის სატახტოში გადაბარგებაზე დაითანხმონ.

ხაბი ალონსო 26 წლისაა და „ლივერპულთან“ კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს. ესპანელმა „წითლებთან“ ხელშეკრულება რამდენიმე თვის წინ გაახანგრძლივა. კლუბის მწვრთნელი რაფა ბენიტესი საყრდენი ფიგურების „ენფილდ როუდზე“ შენარჩუნებას ცდილობს.

მიუხედავად ამისა, „ატლეტიკო“ ფარ-ხმალს არ ყრის და ალონსოზე ნადირობას აგრძელებს. ხსენებული ბრიტანული გაზეთის ვერსიით, „ატლეტიკოს“ სპორტულ დირექტორ ხესუს გარსია პიტარჩს ესპანელი ფეხბურთელის „ვისენტე კალდერონზე“ ჩაყვანა გუნდის მწვრთნელმა ხავიერ აგირემ სთხოვა. რამდენიმე დღის წინ ალონსომ აღნიშნა, რომ „ატლეტიკოს“ და სხვა ესპანური გუნდის, „ბარსელონას“ მისდამი დაინტერესების შესახებ გაუგია, თუმცა ამ კლუბებს ფეხბურთელისთვის ოფიციალურად არ მიუმართავთ.

„ჩემი მიზანია, ტრავმა, რაც შეიძლება მალე მოვიშორო და „ლივერპულს“ პრემიერლიგისა და ჩემპიონთა ლიგის მატჩებში დავეხმარო“ — აცხადებს ხაბი ალონსო.

**ლადო ხოფერიძე**

# გვიდოლინის მეოთხედ მოსვლა



**სიცილიურ** „პალერმოს“ მწვრთნელი კვლავ შეეცვალა. „როზანეროს“ გიჟმაჟმა პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ ვერ მოისვენა და სტეფანო კოლანტუონო, რომელიც თითქოს არცთუ ცუდად მუშაობდა, ტურინში „იუვენტუსთან“ 0:5 განადგურების მერე პოსტიდან დაითხოვა. არადა, გასულ ზაფხულს იგივე ძამპარინიმ კოლანტუონო „ატალანტადან“ მოიყვანა და გუნდიც დიდი ზარ-ზეიმით ჩააბარა.

ვინ არის „პალერმოს“ ახალი მწვრთნელი? რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ძამპარინის მიერ მრავალჯერ ნაკრიტიკები ფრანჩესკო გვიდოლინი, რომელიც აქამდე სამჯერ წვრთნიდა სიცილიელებს და ზაფხულში კოლანტუონომ სწორედ იგი შეცვალა. მას მერე გვიდოლინი უმუშევარი გახლდათ.

„ფანებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ, ყველაფერს ვაკონტროლებთ. დიდი მადლობა სტეფანო კოლანტუონოს გაწეული სამუშაოსთვის. ამიერიდან კი გუნდს ფრანჩესკო გვიდოლინი უთავკაცებს“ — ნათქვამია „პალერმოს“ ოფიციალურ განცხადებაში.

სტეფანო კოლანტუონო: „არ მინდა, ვითარება დავძაბო და ვინმეს სალაპარაკო მივცე. ამიტომ ბევრს არაფერს ვიტყვი. რას ვიზამთ, ფეხბურთში ასეთები ხშირად ხდება. მადლობელი ვარ კლუბის, შანსი რომ მომცა და წარმატებებს ვუსურვებ. ვფიქრობ, „პალერმოს“ არცთუ ცუდი შედეგებით ვტოვებ, გუნდი ახლა მეექვსე ადგილზეა“.

„კლუბის უფროსობასა და კერძოდ მაურიციო ძამპარინისთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაქვს. პრეზიდენტს პატივს ვცემ და ვფიქრობ, იგიც პატივს მცემს, როგორც პიროვნული, ასევე პროფესიული თვალსაზრისით. ბოლოს ყველაფერი შედეგებით შეფასდება. საქმეს კვლავ დიდი ენთუზიაზმით შევუდგებით“ — განაცხადა გვიდოლინმა.

**გიორგი ქაქაბაძე**

# რაფამ ენა მოთოკა



**რაფა ბენიტესმა** უკან დაიხია: მოგეხსენებათ, ბოლო დღეებში, „ლივერპულის“ ესპანელ მწვრთნელსა და კლუბის ამერიკელ მეპატრონეებს ტომ ჰიკსსა და ჯორჯ ჯილეტს შორის ურთიერთობა დაიძაბა. დაპირისპირების მიზეზი სატრანსფერო პოლიტიკა გახლდათ. ბენიტესი ჯიქურ ალხადებდა, რომ ამერიკელ ბიზნესმენებს ევროპული სატრანფერო პოლიტიკისა არაფერი გაეგებათ. მწვრთნელი ამტკიცებდა, რომ მას ახლავე სჭირდება ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში კი იმ მოთამაშეებს, რომელთა გადაბირებაც სურს, ველარ გადაიბირებს. პასუხად, ამერიკელებმა განაცხადეს, რომ ინგლისში დეკემბრის შუაში ჩავლენ და მხოლოდ ამის შემდეგ დაილაპარაკებენ საორგანიზაციო საკითხებზე. ამას მოყვა ხმები თანამდებობიდან ბენიტესის შესაძლო მოხსნისა და მის ადგილას ჟოზე მაურინიუს შეგულების შესახებ, თუმცა დღევანდელი ცნობის თანახმად რაფამ სამსახურის შენარჩუნების მიზნით ბოდიშის მოხდა განიზრახა. აი, რა უთხრა ინგლისელ ჟურნალისტებს „ლივერპულის“ მავანმა თანამშრომელმა, რომლის გვარ-სახელსაც არ იტყობინებიან:

„რაფას მეტისმეტად უყვარს „ლივერპული“ და იმედოვნებს, რომ ყველაფერი მოგვარდება. ერთადერთი ადგილი სადაც ბენიტესს მუშაობა სურს, „ლივერპული“ გახლავთ. დიდი ხანი არ არის მას მერე, რაც ის ტომ ჰიკსსა და ჯორჯ ჯილეტს ფერნანდო ტორესის ყიდვისთვის ემადლიერებოდა. ის დღესაც მადლიერების გრძნობით არის განმსჭვალული და ფიქრობს, რომ ურთიერთობა მეტად აღარ დაიძაბება“.

თუმცა, არის ხალხი, რომელიც ეჭვობს, რომ ბენიტესის ბოდიშმა დააგვიანა. უფრო სწორად, ამერიკელი მეპატრონეები გააბრაზა იმან, რომ მწვრთნელმა უკვე მერამდენედ გაბედა მათი საჯაროდ გაკრიტიკება. მიზეზი, მოგეხსენებათ, სულ ერთი და იგივეა — სატრანსფერო თანხები.

თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს: ბენიტესი იოლი მოსაშორებელი არ არის. უპირველეს ყოვლისა, ამის მიზეზი „ლივერპულის“ ქომაგთა შორის მისი უზომო პოპულარობაა — თუკი მეპატრონენი ჩემპიონთა ლიგის თამაშს დაესწრებიან, საკუთარი ყურით მოისმენენ, როგორ უმღერის ხალხი ტრიბუნიდან. და მეორე — მერსისაიდულ გუნდში ძალიან ბევრი ესპანელი და ესპანურენოვანი ფეხბურთელი გამოდის, რომლებიც ბუნებრივია, თანამემამულე მწვრთნელს მხარს დაუჭერენ.

არის კიდევ ერთი მომენტი: თუ ბენიტესს სამსახურიდან დროზე ადრე გაუშვებენ, „ლივერპულის“ შეფებმა თან 6 მილიონი გირვანქა უნდა გაატანონ.

ბენიტესის მეგობარი: „რაფას ეს ქალაქი, აქაური ფანები და ხალხი უყვარს. ერთადერთი, რაც მას სურს და რისთვისაც იბრძვის, ფანების ინტერესის გათვალისწინება და მათი მოთხოვნების შესრულებაა. მისი ოჯახი მერსისაიდში თავს საუცხოოდ გრძნობს. მისი შვილები საკუთარ თავს სკუსერებს (იქაური აქცენტით მოლაპარაკეებს) უწოდებენ“.

კი მაგრამ, რატომ იკავებენ ტომ ჰიკსი და ჯორჯ ჯილეტი სატრანსფერო სეზონის წინ თავს ჯიბეზე ხელის გაკრისგან? იმიტომ, რომ მათ გეგმებში 400 მილიონიანი ახალი სტადიონის აშენებაა ჩასმული, რასაც საკუთრივ „ლივერპულმა“ შეიძლება ზარალი მიაყენოს — თუ გუნდი ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფის ეტაპს ვერ მიაღწევს, „წითლები“ გვარიან ფულს დაკარგავენ.

გასულ ზაფხულს ბენიტესმა ამერიკელებს ახალი ფეხბურთელების ყიდვაზე 40 მილიონი გირვანქა დაუხარჯა, ისიც ამ თანხის ნახევარი ძველების გაყიდვით მოიგო და ხაზინაში დააბრუნა. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბენიტესს მაინც სჯერა „ლივერპულის“ მეპატრონეთა გულკეთილობის თუ ქისის და საიანვროდ რამდენიმე მოთამაშის შეძენას გეგმავს. რაც შეეხება უფრო შორეულ, საზაფხულო გეგმებს, საამისოდ მწვრთნელი ამთავითვე ორ თავისუფალ აგენტს ეგრეთ წოდებულ ორ „ბოსმანს“ აკვირდება.

**ბაჰუნა ძედია**



კალდერონი შუსტერს ალალბედზე ველარ დატოვებს

# ბერნარდოს მოტაცება გაძვირდება

**მას შემდეგ,** რაც ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ ბერნდ შუსტერს სტივ მაკლარენის მოხსნის მერე უთაოდ დარჩენილი ალბიონური ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზა, მადრიდში მოსვენება დაკარგეს. საქმე ის გახლავთ, რომ ახლანდელი ხელშეკრულებით „რეალის“ მწვრთნელს „სანტიაგო ბერნაბეუს“ ნებისმიერ მომენტში დატოვების უფლება აქვს. შესაბამისი სურვილის შემთხვევაში, შუსტერი „სამეფო კლუბს“ ისე დაემშვიდობება, რომ მადრიდულ სალაროში ერთ ევროსაც არ გადარიცხავს.

ამან სამეფო თეთრების პრეზიდენტი რამონ კალდერონი და სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი ძალიან დაალონა, შუსტერი ხომ მათი ფავორიტია და „რეალის“ სამომავლო წარმატებებს მას უკავშირებენ. თუმცა შუსტერმა კლუბის თავკაცები დაამშვიდა, ნუ ინერვიულობთ, „რეალიდან“ წასვლას არ ვაპირებო.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ „რეალი“ ნალოლიავებ „ბერნარდოს“ ასე ალალბედზე ველარ დატოვებს და. „მარკას“ ცნობით, ხვალ-ზეგ გერმანელის „ბერნაბეუდან“ მოტაცება ინგლისელებს და სხვებს ბლომად ფული დაუჯდებათ — კალდერონ-მიატოვიჩის წყვილი შუსტერის კონტრაქტს თავისებურად დაამუშავებს.

**ლადო ხომერიკი**



# კანის ნაცვლად მალეზანი

**იტალიურმა** „ემპოლიმ“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ჯიჯი კანი დაითხოვა და გუნდის საჭე ალბერტო მალეზანით ჩაანაცვლა. ტოსკანელები მიმდინარე სეზონში ჯერჯერობით ძალიან ცუდად გამოიყურებიან. სერია A-ში „ემპოლი“ მე-18 ადგილზეა, ხოლო უეფას თასიდან „ციურიხმა“ გააგდო.

გასულ უქმეებზე „ემპოლიმ“ შინ „ტორინოს“ ვერ მოუგო (0:0) და კლუბის ხელმძღვანელობამაც ამის მერე გადაწყვიტა კანის გაშვება.

„არ მესმის, როგორ შეიძლება ვინმემ თქვას, რომ გუნდი არ მენდობოდა და მემორჩილებოდა, როცა „ტორინოსთან“ მატჩის მეორე ტაიმი ძალიან კარგად ჩავატარეთ. უბრალოდ, არ გაგვიმართლა. კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ აჯობებს, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება მივიღო და მშვიდად წავიდე. ჩემს წილ პასუხისმგებლობას არც გავურბივარ“ — თქვა კანიმ.

ჯიჯი კანი მიმდინარე სერია A-ში მეექვსე მწვრთნელია, ვისაც პოსტი დაატოვებინეს, სტეფანო კოლანტუონოს, მარკო ჯამპაოლოს, ანდრეა მანდორლინის, მასიმო ფიკადენტისა და ფერნანდო ორსის შემდეგ.

რაც შეეხება მალეზანის, ეს სპეციალისტი ბოლოს „უდინეზეში“ მუშაობდა.

**კოკი კანდელაკი**

# სანიოლის დასტური



**ვილი სანიოლმა** დაადასტურა, რომ მცირე ხანში მიუნხენის „ბაიერნს“ დატოვებს. ფრანგი მცველი ბავარიულ გიგანტს, ალბათ, იანვრის სატრანსფერო ბაზარზე გამოემშვიდობება.

„რამდენიმე კვირის წინ „ბაიერნის“ ხელმძღვანელობას ვთხოვე, იანვარში ჩემთვის კლუბიდან წასვლის შესაძლებლობა მოეცა“ — აცხადებს სანიოლი. გალი უკანასკნელი ტრავმის გამო წლეულს „ალიანს-არენაზე“ კარგახანს ვერ თამაშობდა, თუმც კვირას „ვოლფსბურგთან“ მატჩში განაცხადში იყო.

30 წლის სანიოლს მედიასთან საუბრისას „ბაიერნთან“ დაშორების მიზეზი არ აუხსნია, თუმცა თქვა, რომ რამდენიმე წამყვან ევროპულ კლუბთან სატრანსფერო მოლაპარაკებას მართავს, მათ შორის „მანჩესტერ იუნაიტედთანაც“, რომელსაც ფრანგის შეძენა ადრეც უნდოდა.

„წითელ ეშმაკუნებს“ სანიოლის ხელში ჩაგდება გაუჭირდებათ. ფეხბურთელს „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს და გერმანელები შეეცდებიან, სარფიანად გაასხვისონ.

**ლადო ხომერიკი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არგენტინელი ბაჭიას ტურინული პერსპექტივა



**ტურინის** „იუვენტუსი" იანვრის სატრანსფერო ბაზარზე თავდასხმის ხაზის გაძლიერებას ეცდება. იტალიელთა უმთავრესი მიზანი ხავიერ სავიოლას შეძენაა. ესპანური გაზეთები ირწმუნებიან, რომ „იუვეს" შეფებს ეჭვი ეპარებათ, ვეტერანმა დელ პიერომ მთელი სეზონის სტაბილურად ჩატარება შეძლოს და ამიტომ „ბაჭიას" ყიდვა გადაუწყვეტიათ.

კლაუდიო რანიერის გუნდი საღეისოდ სერია A-ს ცხრილში მეორეა და სკუდეტოსთვის იბრძვის. მწვრთნელი იაკვინტას, ტრეზეგეს და დელ პიეროს თამაშით უკმაყოფილო არაა, თუმცა „იუვენტუსის" ხელმძღვანელობას გარისკვა არ სურს — ვაითუ ტრავმებმა „დელე ალპის" კლუბის თავდასხმის ძლიერება შეარყიოს.

„იუვემ" გასულ სეზონში სერია B-ში „პატიმრობა" მოიხადა და იტალიურ ელიტაში დაბრუნდა, რათა ჩემპიონობისთვის ომში „ინტერთან" და „რომასთან" ძალები მოესინჯა. „ბაჭიაც" სინიორ რანიერის ტურინელთა სამომავლო მებრძოლად მიუჩნევია — ამ ბიჭს შეუძლია, სასწორის პინა ჩვენს სასარგებლოდ გადახაროსო — უთქვამს იტალიელს.

არგენტინელი თავდამსხმელი ბერნდ შუსტერის გეგმებში აღარ შედის და „იუვემ" ესპანეთისკენ აგენტები გააგზავნა მოსალაპარაკებლად. აპენინელებს სავიოლას იჯარით აყვანა სურთ. მაგრამ მათ წარმომადგენელთა ვიზიტს წარმატება არ მოჰყოლია. ხავიერ სავიოლამ თქვა, რომ „რეალში" ტრიუმფისთვის მივიდა და „ბერნაბეუს" მიტოვებას ჯერჯერობით არ გეგმავს. თუ ფეხბურთელმა აზრი იანვრის სატრანსფერო ბაზრამდე არ შეიცვალა, „იუვენტუსს" ივნისამდე მოცდა მოუწევს, როცა იტალიელები მადრიდულ გრანდს სავარაუდოდ უკვე სავიოლას საყიდლად მიაკითხავენ.

„სპორტის" ცნობით, „რეალი" მზადაა, არგენტინელს 6 მილიონი ევროს საფასურად შეელიოს. მოგახსენებთ, რომ „ბაჭიას" ტრანსფერში მადრიდელებს არაფერი გადაუხდიათ. ხავიერს „ბარსელონასთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და კატალონიური გრანდის უფროსობაზე განაწყენებულმა „ბაჭიამ" თავი მეტოქის ბანაკში ამოყო.

ახლა ისიც გავიხსენოთ, არგენტინელს თავის კლუბებთან საურთიერთოდ რა პოლიტიკა აქვს შერჩეული. ხავიერს „ბარსელონაში" არ უმართლებდა. სხვა კლუბებშიც აგზავნიდნენ იჯარით, „კამპ ნოუზე" ყოფნის ბოლო პერიოდში კი ძირითადს ვინ ჩივის, განაცხადშიც იშვიათად ხვდებოდა. თუმცა „ბაჭიას" მსუყე ბარსელონურ ჯამაგირზე უარი არასდროს უთქვამს და ხუან ლაპორტას კლუბში კონტრაქტის ამოწურვამდე დარჩენა ერჩივნა.

ჯერჯერობით „რეალშიც" მსგავსი სცენარი თამაშდება. სავიოლამ „სამეფო კლუბთან" ოთხსეზონიანი კონტრაქტი ზაფხულში გააფორმა, თუმცა რაულის, ვან ნისტელროის და რობინიოს ფონზე შეუმჩნეველი რჩება და ჟურნალისტებთან შეხვედრაში ჯიუტად აცხადებს — სეზონი გრძელია და მეც ჩემს შანსს დაველოდებიო. სეზონი მართლაც გრძელია, თუმც ისიც ნათელია, რომ რაც „რეალში" ჩაირიცხა, სავიოლამ მოედანზე მხოლოდ 236 სათამაშო წუთი დაყო.

ამ მოკრძალებული აქტიურობისთვის არგენტინელს მადრიდში წლიურ ჯამაგირად 4 მილიონ ევროს აძლევენ. აგერ „იუვენტუსიც" მზადაა, სალარო რამდენიმე მილიონით შეიმსუბუქოს და ოკეანისგაღმელს შავ-თეთრი მაისურა მოარგოს.

**ლადო ხომერიკი**



ბილი დევისი

# უდევისო დერბი

**„დერბი ქაუნთიმ"** მწვრთნელი მოხსნა — ბილი დევისი კლუბის თავმჯდომარეს ადამ პირსონს ელაპარაკა და წავიდა. დერბელებმა ბოლო ტურში „ჩელსისთან" წააგეს 0:2 და 14 თამაშის შემდეგ პრემიერლიგის ცხრილში 6 ქულით ბოლო ადგილზე არიან.

ადამ პირსონი: „ვილაპარაკეთ და დავასკვენით, რომ ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით ამ ეტაპზე ყველაზე სწორი გამოსავალი განშორება იქნებოდა".

მიმდინარე სეზონში „დერბიმ" ერთადერთი თამაში მოიგო. საბრალო, ვისაც ეს მწარე ხვედრი ერგო, „ნიუკასლ იუნაიტედი" აღმოჩნდა. კატასტროფული მდგომარეობაა გაშვებული გოლების გრაფაშიც. იქ 33 წერია.

საინტერესოა, რომ „ჩელსისთან" ზემოთ ნახსენები მარცხის შემდეგ დევისმა ასეთი რამ განაცხადა: „ადამ პირსონს ხუთი წუთით რომ შევხვედროდი, მშვენიერი იქნებოდა, მასთან სათქმელი დამიგროვდა, მაგრამ ის მეტად დაკავებული ადამიანია და ვერ იცლის. აგერ უკვე ორი თუ სამი კვირაა, მასთან შევხვედრას ვერ ვახერხებ".

— ეს სრულიად შემთხვევით მოხდა. ხუმრობა-ხუმრობაში ისეთ ეშხში შევედი, რომ თავადაც ხედავთ, საშუალოდ 20 ქულაზე მეტს ვაკეთებ. წელიწადნახევარი პირადი საქმეებით ვიყავი დაკავებული და მერე მწვრთნელობა გადავწყვიტე. გასულ ზაფხულს თურქეთში ვიყავი სემინარებზე, რომელთაც ესპანეთისა და თურქეთის ნაკრებების მწვრთნელები უძღვებოდნენ. იქ იყო ასევე ჩვენი ეროვნული გუნდის მაშინდელი თავკაცი გორდონ ჰერბერტი, რომელიც პირადად გავიცანი და მან ნაკრების თბილისურ შეკრებაზე მიმიწვია ერთ-ერთ თანაშემწედ.

— **თამაშის დაწყებაც მაშინ გადაწყვიტე?**

— არა, „დინამოს" ასაკობრივ გუნდში რომ მივედი მწვრთნელად, ეს მაშინ მოხდა. მე რომ მოედანს დავუბრუნდი და, ასე თუ ისე, კარგ ფორმაში შევედი, პირადად „დინამოს" მწვრთნელის ზაზა ცაგარეიშვილის დამსახურებაა, რისთვისაც მისი დიდად მადლობელი ვარ. როცა ბავშვთა გუნდის წვრთნას შევუდექი, ცაგარეიშვილმა მითხრა, მოდი, ივარჯიშე და იქნებ ჩვენც დაგვეხმარეო. სიმართლე გითხრათ, თავიდან გასართობად დავიწყე ვარჯიში, [illegible] და ნელ-ნელა ფორმაშიც შევედი.

— **[illegible] ყოფილხარ...**

— მართლაც მაგარ ფორმაში ვარ, თსუ-სთან 41 წუთი ვიყავი მოედანზე და ბოლომდე შემრჩა ძალა. ამდენი ხნით, მგონი, 8 წელია, არ მითამაშია. კარგ ფორმაში რომ ვარ, ეს ჩემთვისაა კარგი, მაგრამ ქართული კალათბურთისთვის უმჯობესი იქნებოდა, ახალი თაობა იყოს მოწინავე პოზიციაზე. ჩემთან ერთად ვაკო ბეჟანიშვილი, ირაკლი ხომტარია, დავით ბერძენიშვილი და ჩემი თაობის კიდევ სხვა წარმომადგენლები არიან, ჩემპიონატში ამინდს რომ ქმნიან. რა თქმა უნდა, გვყავს ახალგაზრდებიც, გიორგი შერმადინი, ლაშა გამყრელიძე, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, უფრო მეტნი ყოფილიყვნენ.

— **„დინამოზე" რას იტყვი?**

— ნორმალური გუნდი გვყავს. სწორი მუშაობითა და მონდომებით იმდენს მივაღწიეთ, რომ ჩემპიონატში ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად ვიქეცით. „ენერჯი-ინვესტი" ყველასგან გამორჩეულია, დანარჩენ გუნდებს შორის მატჩებს კი დაძაბულობა არ აკლია. ჩვენ ორი ტურის წინ „ვითას" კინაღამ მოვუგეთ. ასე რომ, წინ საინტერესო ბრძოლები გველის. ამ სეზონს აუცილებლად ჩავამთავრებ და მერე ალბათ შევეშვები თამაშს — მთლიანად მწვრთნელობაზე გადავერთვები. ამ საქმეს სერიოზულად მოვკიდე ხელი და ვაპირებ, უცხოურ სემინარებზე ავიმაღლო კლასი.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# რიხიანი უდრიპი

26 ნოემბერი

**გოლდენ სტეიტი 129:114 ფინიქსი**

გოლდენ სტეიტი: ჯეკსონი (32), ელისი (31), დევისი (28 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა)

ფინიქსი: ნეში (23 ქულა, 13 პასი), სტუდემაიერი (17), ჰილი (17), ბარბოსა (16)

**საკრამენტო 112:99 სან ანტონიო**

საკრამენტო: უდრიჰი (27), არტესტი (20), მილერი (17 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), მური (17)

სან ანტონიო: დანკანი (15), ობერტო (13)

**დალასი 98:110 ვაშინგტონი**

დალასი: ნოვიცკი (31 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი), ჰოვარდი (17)

ვაშინგტონი: ბატლერი (35), ჯემისონი (27), დანიელსი (16)

**ნიუ იორკი 113:109 იუტა**

ნიუ იორკი: რენდოლფი (25 ქულა, 14 მოხსნა), მარბერი (28), კროუფორდი (22)

იუტა: ბუზერი (30 ქულა, 12 მოხსნა), უილიამსი (26)

**ნიუ ორლეანი 94:103 მინესოტა**

ნიუ ორლეანი: პოლი (31 ქულა, 11 პასი, 4 ჩაჭრა), სტოიაკოვიჩი (17)

მინესოტა: იარიჩი (20), ტელფარი (20), უოლკერი (17)

**პორტლენდი 74:85 ორლანდო**

პორტლენდი: ოლდრიჯი (16)

ორლანდო: თურქოღლუ (21), ლუისი (20)

**კლიპერსი 71:88 ჰიუსტონი**

კლიპერსი: კამანი (22 ქულა, 13 მოხსნა), მაგეტი (21)

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (36 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი), ალსტონი (17), მინი (14)

„ფინიქსის" 8-მოგებიანი სერია სან ფრანცისკოს გარეუბან ოკლენდში „გოლდენ სტეიტთან" მარცხით დასრულა. მისმა ლიდერმა სტივ ნეშმა ჩვეულად კარგად ითამაშა — ქულებიც აგროვა და პასებიც, მაგრამ მოგებათა სათვალავარეულმა და ალბათ უფრო ფსიქოლოგიურად გადაღლილმა 8-ჯერ ჩააბარა ბურთი მოწინააღმდეგეს. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან „ფინიქსმაც" და „გოლდენ სტეიტმაც" შეთანხმებულებივით ერთსულოვნად თქვეს უარი დაცვაში თამაშზე და მთელი ენერგია შეტევაში დააბანდეს. ისეთი სწრაფი თამაში გახურდა, გადარბენა-გადმორბენებში ბურთს კი არა, ორმეტრიან კალათბურთელებს ვერ მოჰკრავდით თვალს და იმატა შეცდომებმაც. განსაკუთრებით ბარაქიანი გამოდგა პირველი მეოთხედი, რომელიც მასპინძელმა „გოლდენ სტეიტმა" 45:37 (!) მოიგო და ლიდერობა აღარც გააგდო ხელიდან. „ფინიქსმა" ბოლო მეოთხედში მოამზადა გადამწყვეტი შტურმი, მაგრამ „გოლდენ სტეიტმა" ნეშს და მისიანებს მონტა ელისი დაუპირისპირა, რომელმაც ზედიზედ 15 ქულა გააკეთა, სულ ამ თამაშში 31 ქულის ჩაგდებით კარიერის რეკორდი გაიმეორა და თავის გუნდს ბოლო 7 თამაშში მე-6 მოაგებინა.

ორშაბათი ნავსიანი გამოდგა კიდევ ორი ბობოლა დასავლელისთვის — „სან ანტონიოსა" და „დალასისთვის". „სან ანტონიომ" მიყრით 5 მოგების შემდეგ საკრამენტოში დაასრულა იღბლიანი სერია და ამას ყოფილ თავისიან ბენო უდრიჰს უნდა „უმადლოდეს". სლოვენიელი გამთამაშებელი 2007 წელს „სფურზის" რიგებში ნბა-ს ჩემპიონი გახდა, ამ ზაფხულს კი „საკრამენტოში" გადავიდა და რაც ამ გუნდის ძირითადი გამთამაშებელი მაიკ ბიბი დაიმტვრა, ცდილობს, დამწყებ ხუთეულში გაიდგას ფესვი. თავის ყოფილ გუნდთან ის მართლაც შეუდარებელი იყო. ერთ დროს ტონი პარკერის რეზერვისტმა ახლა პირწმინდად დაჩაგრა ფრანგი — ქულებში 27:12 აჯობა და თამაშის ბედიც დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე გადაწყვიტა.

„დალასს" კი „ვაშინგტონმა" მოარგო გასაღები, რომელსაც ჯილბერტ არენასი აკლია, მაგრამ მთავარმექულის არყოფნაშიც არ გასჩენია მეტოქის ფარის დალაშქვრის პრობლემა. კერონ ბატლერმა ხუთიდან ხუთი სამქულიანი ჩაუკალათა „დალასს", სულ კი 35 ქულა გაახერხა და დირკ ნოვიცკის წყალში ჩაუყარა მონაგარი (31 ქულა).

„იუტას" ჯერ ვერ ამოუყვენებთ გვერდში დასავლური სუპერგუნდების ტრიოს, მაგრამ რანგით დაბალ მეტოქესთან მისი მარცხიც სახსენებელია. „იუტას" ჯაზი ნიუიორკელებმა ჩაახშეს, რომელთა ლიდერმა სტივენ მარბერიმ სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა და 28 ქულა გააკეთა.

**კოტე ყორშია**

## კვირის მოთამაშეები

### აღმოსავლეთი

**ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)**



### დასავლეთი

**ტონი პარკერი (სან ანტონიო)**



გასული კვირის საუკეთესო მოთამაშის წოდება ისეთ დიდვარსკვლავებს შეხვდათ, რომელთაც გაცილებით დიდრონი ტიტულებით შეუძლიათ თავი მოიწონონ. აღმოსავლეთში საუკეთესოდ კლივლენდელი ლებრონ ჯეიმსი დასახელდა, დასავლეთში კი ეს პატივი სანანტონიოელ ტონი პარკერს შეხვდა.

ლებრონმა წინა კვირას ოთხი თამაშიდან სამი მოაგებინა „კავალერიას", რომელსაც ბოლო ხანს გამარჯვებები შესამჩნევად შემოაკლდა. ამ ოთხი თამაშიდან ორში სამმაგი დუბლი შეასრულა, საშუალოდ კი კვირის განმავლობაში 36,5 ქულა, 9,5 მოხსნა და 8,5 პასი აკეთა.

პარკერის „სან ანტონიომ" კი კვირა დაუმარცხებლად მოითამაშა, სამიდან სამი მოიგო, თავად ტონიმ კი საშუალოდ 26,5 ქულა და მისთვის საკმაოდ ბევრი, 8,3 პასი იხვეჭა.

**კვირის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის" ვერსია):** ტონი პარკერი (სან ანტონიო), სტივენ ჯეკსონი (გოლდენ სტეიტი), ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი), კარლოს ბუზერი (იუტა), დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)

## ❀ რაგბი ❀



# გაჭირვების ტალკვესი
## ყოჩთა ყოჩი
## გამოცდილებით ფასდება

„ყოჩების“ მოთამაშე-მწვრთნელი ნიკო ჭავჭავაძე ქუთაისში საქართველოს თასის ფინალშიც შეცვლაზე შევიდა, თითქმის გატეხილ შერკინებას მაცოცხლებელი სული შთაბერა, რამაც გუნდი საერთო ჯამში გამარჯვებამდე მიიყვანა. ეროვნული ჩემპიონატის ფინალში ნიკომ, სულაც გადამწყვეტი ლელო გაიტანა და თავის გუნდს მეორე ქართული ჯილდო მოაგებინა. მოკლედ, ნიკო ჭავჭავაძე კარგი მწვრთნელია და ამასთან ერთად ოქროს სათადარიგოც. ასე რომ, მისთვის გამარჯვებაც ალალია და ის თასიც, რომლითაც ფინალური ჯახის შემდეგ მესამე ტაიმში ტრიუმფატორი გუნდის სადღეგრძელო დაილია.

**ნიკო ჭავჭავაძე** არც ინტერვიუზე დაგვზარდა და სეზონის მთავარი მატჩის პერიპეტიებზე გვესაუბრა

**— ნიკო, გილოცავთ გამარჯვებას. რას იტყვი ფინალურ შეხვედრაზე?**

— დიდი მადლობა. საკმაოდ დაძაბული მატჩი გამოდგა, რაც უმთავრესად მისი მნიშვნელობით და აქედან გამომდინარე ნერვიულობით აიხსნება. მოვლენები ისე განვითარდა, რომ მთელი ოთხმოცი წუთის განმავლობაში ვერ დავმშვიდდით. არადა, ჯარიმები რომ გამოგვეყენებინა, სულ სხვანაირად წარიმართებოდა შეხვედრა და შედეგიც უფრო სოლიდური იქნებოდა. ჩემი გუნდის ბირთვს ახალგაზრდები შეადგენენ და მათ კარიერაში ეს პირველი უმნიშვნელოვანესი ფინალი იყო. საერთო ჯამში თამაშით კმაყოფილი ვარ და ვფიქრობ, მომავალში ამ ბიჭებთან ერთად უფრო მეტს მივაღწევთ.

**— შენ სულ შეცვლაზე შედიხარ და ისე ხდება, რომ მატჩის გადამწყვეტ მომენტებს ქმნი. მომავალში ძირითადში ხომ არ დაიწყებ თამაშს?**

— რა თქმა უნდა, არა. მე პირველ რიგში მწვრთნელი ვარ და მარტო მაშინ შევდივარ მოედანზე, როცა გუნდს უჭირს. ძველებურ ფორმაში აღარ ვარ და თუ „ყოჩებს“ რამეში ვადგები, ეს ძირითადად გამოცდილების ხარჯზე ხდება.

**— „ყოჩებში“ უფრო მეტი გამოცდილი და, ასე ვთქვათ, ძველი ვარსკვლავი რაგბობდა იმ დღეს, ვიდრე „ლელოში“. ამან თუ იქონია გავლენა შეხვედრის ბედზე?**

— რა თქმა უნდა. ჯერ მარტო კახა კობახიძის თამაში რად ღირს. იგი წლების მანძილზე საქართველოს ნაკრების წევრი და უცვლელი რვა ნომერი იყო. მისი გამოცდილება ფასდაუდებელია „ყოჩებისთვის“.

**— მსაჯობაზეც გკითხავ. კმაყოფილი ხარ ფრანგი არბიტრით?**

— არა მარტო კმაყოფილი, არამედ განცვიფრებულიც. მსაჯს თამაში ერთ მომენტშიც კი არ გაუფუჭებია. თავიდანვე გვითხრა, რომ უპირატესობასაც არ შეგინახავთ დიდხანს და ითამაშეთ ლაღადო. ჯარიმებიც არ უძებნია და ამიტომ იყო, რომ შეხვედრა ასეთი დინამიკური გამოდგა.

ასევე მინდა, „ლელოსაც“ შევუქო თამაში. ისინი მთელი სეზონის განმავლობაში ბრწყინვალედ გაისარჯნენ და ჩვენზე არანაკლებ იმსახურებდნენ საქართველოს პირველი გუნდის წოდებას, მაგრამ არა უშავს, ახალგაზრდული გუნდი ჰყავთ და ყველაფერი წინ აქვთ.

**— საქართველოდან მორაგბეების მასობრივი მიგრაციაა. შეინარჩუნებთ მომავალ სეზონში ძირითად ბირთვს?**

— ალბათ შევინარჩუნებთ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არავინ მიდის. ვნახოთ, კიდევ ბევრ წარმატებას ვგეგმავთ და რამდენად შევძლებთ ამას, მომავალი გვიჩვენებს.

**ზურაბ მიბრიაული**

## ჭიდაობა

# სულ მოსკოვშით
## ფილამ რუსებს ერთხელ უკვე აჯობა

**შაბათს** ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია 2007 წლის სეზონის შეაჯამებს და მსოფლიოს საუკეთესო ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის, აგრეთვე ქალ მოჭიდავეებს დაასახელებს. ეს ყველაფერი მოსკოვში მოხდება. ამ დროისთვის მხოლოდ ათ-ათი კანდიდატია ცნობილი. წესით, მათგან რჩეულები ინტერნეტ-გამოკითხვით გულშემატკივრებს უნდა აერჩიათ, მაგრამ რაკი რუსულმა ვებგვერდებმა რიგიანად ვერ იმუშავეს, გამოკითხვა ჩაიშალა და საქმე ფილამ გადაიბარა.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო საუკეთესო ბერძენ-რომაელის ნომინაცია იყო. ამ ათეულში ხომ რამაზ ნოზაძე და დავით ბედინაძეც შეიყვანეს. ხმის მიცემის პროცესის შეჩერებამდე ქართველები მეოთხე და მეექვსე ადგილებზე იდგნენ და ლიდერ აზერბაიჯანელს, ფარიდ მანსუროვს, გვარიანად ჩამორჩებოდნენ. მანსუროვის უახლესი მდევარი კი რუსი ალექსანდრ მიშინი იყო და რახან ხალხის ხმები აღარავის აინტერესებს და თან საუკეთესო რუსეთში უნდა გამოცხადდეს, გვაქვს ეჭვი, ფილა ამ ორ ლიდერს ადგილს გაუცვლის, ხოლო ნოზაძეს და ბედიანიძეს რომ არავინ გააპირველებს, ამას რა დიდი მიხვედრა უნდა.

„1 დეკემბერს მოსკოვში მოსახდენ ამბებზე ამ დღეებში გავიგეთ — გვითხრა გუშინ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ომზარ მოშიტაშვილმა** — ოღონდ არა რუსი კოლეგებისგან, არამედ თქვენგან. რუსეთიდან ამ წუთამდე არავინ შეგვხმიანებია და ერთი ადამიანის მიწვევაზეც კი არ თქმულა სიტყვა. არადა, ორგანიზატორების კეთილი ნება რომ ყოფილიყო, მოსკოვში ჩვენი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები მთლიანად უნდა მიეწვიათ“.

შეგახსენებთ, შაბათსვე მოსკოვში თავისუფალ ჭიდაობაში ცხკას თასი გათამაშდება და მისთვის ექვსი ნაკრები იბრძოლებს. მასპინძლების გარდა ხალიჩაზე კუბელები, თურქები, უკრაინელები, ამერიკელები და უზბეკები გავლენ. საქართველოს ნაკრების იგნორირების მიზეზად კი ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის ჩავარდნა დასახელდა. აქაოდა, არჩევანი ექვს საუკეთესო ნაკრებზე შევაჩერეთ და ქართველები მათში ვერ მოხვდითო.

რამდენიმე დღის წინ ინტერნეტ-გამოკითხვის ჩამფლავებელმა ვებგვერდმა ექვსთა ტურნირზე მოჭიდავეთა განაცხადებიც გამოფინა. ყველაზე შთამბეჭდავი შემადგენლობა მასპინძლებს ჰყავთ და მთავარი ფავორიტებიც ისინი იქნებიან. ქართველი გულშემატკივრისთვის რამდენად ძნელად შესაგუებელიც არ უნდა იყოს, ფაქტია, თავისუფალ ჭიდაობაში ბოლო წლებში ჩრდილოკავკასიელებით დაკომპლექტებული რუსეთი ლამის ყველაფერს იგებს, რისი მოგებაც კი შეიძლება.

დაბოლოს, მსოფლიოს წლის საუკეთესო მოჭიდავეები ამიერიდან ყოველი წლის ბოლოს დასახელდებიან. უცნაური გადაწყვეტილებებით სახელგანთქმული ფილასგან ეს სიახლე, უდავოდ, მოულოდნელი იყო და, რაც მთავარია, ძალიან სასიამოვნო, რომ არა ერთი დანართი. ამ გამოკითხვისა და დაჯილდოების მასპინძელი, თურმე ყოველთვის მოსკოვი უნდა იყოს.

**ოთარ ბალლაძელიძე**

## მთამსვლელობა

# მთამსვლელთა ახალი წინამძღოლი

**საქართველოს** მთამსვლელობისა და კლდეზე ცოცვის ასოციაციის პრეზიდენტად ზურაბ კუჭავა აირჩიეს.

ხსენებული ასოციაცია, ქვეყანაში მოქმედი რამდენიმე მონათესავე ორგანიზაციიდან ერთადერთია, საერთაშორისო UIAA-ს წევრი რომ გახლავთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან არსებული ალპინიზმის ფედერაციის კანონმემკვიდრე სწორედ ეს გაერთიანება გახლავთ.

მთამსვლელობისა და კლდეზე ცოცვის ასოციაციას ბოლო დრომდე სათავეში ბენო ქაშაკაშვილი ედგა, მაგრამ როგორც რესტორან „ლორდში“ გამართულ ყრილობა-სადამოზე თავად ბატონმა ბენომ ბრძანა, მთელი რიგი მოსაზრებებიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნება თუ ორგანიზაციას, ამიერიდან, გამოცდილი მთამსვლელი და პედაგოგი, ზურაბ კუჭავა უხელმძღვანელებს. სიტყვით გამოვიდა ქართული ალპინიზმის ერთ-ერთი ოდინდელი მედროშე და ასოციაციის მესვეური ლევ სარქისოვიც.

ქართველ მთამსვლელთა წრეებში ზურაბ კუჭავა ენერგიით აღსავსე, საქმისადმი უსაზღვროდ ერთგულ ადამიანად არის ცნობილი და ამიტომ, მის კანდიდატურას დამსწრე საზოგადოება გულწრფელად მიესალმა.



ზურაბ კუჭავა

**ვახტანგ იოსელიანი**

## ჭადრაკი

## მსოფლიოს თასი. ხანტი-მანსიისკი რუსეთი. 22 ნოემბერი–18 დეკემბერი

# ქართველის გერმანული პარტია



მერაბ გაგუნაშვილი

**მსოფლიოს** თასზე მონაწილე ერთადერთი ქართველი მერაბ გაგუნაშვილი პირველივე ტურში გამოვარდა. იგი ჩინელმა ჩჟან პენსიონმა დაამარცხა.

შეგახსენებთ, რომ პირველი ორი შეხვედრა ყაიმით დასრულდა და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად დიდოსტატებმა ტაიბრეიკებში გააგრძელეს ბრძოლა.

პირველად თეთრი ფიგურები გაგუნაშვილს ერგო, თუმც ეს უპირატესობა ვერ გამოიყენა და 55-ე სვლაზე ყაიმს დასჯერდა. მეორე პარტია დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა და ერთ მომენტში ქართველმა უპირატესობაც მოიპოვა, თუმც ვერ შეინარჩუნა და 55-ე სვლაზე დამარცხდა.

სენსაცია მოახდინა გერმანიის სახელით მოასპარეზე დავით ბარამიძემ. მან ინგლისელი ნაიჯელ შორტი გამოთიშა ასპარეზობიდან და მომდევნო ეტაპზე გავიდა.

ძირითადი შეხვედრებში ყაიმებით დასრულდა, ტაიბრეიკებში კი ბარამიძე გააქტიურდა, პირველივე პარტიაში ინგლისელს შავი ფიგურებით 72-ე სვლაზე მოუგო და საქმეც გაიიოლა. მომდევნო პარტიაში შორტმა ბევრი იომა, თუმც ვერაფერს გახდა და 46-ე სვლაზე მისთვის სავალალო ყაიმს დაჯაბულდა.

**ლუკა გიგიჩკორი**



# იმედიანი განწყობა: იმედო ფხაკაძე ბრძოლას აპირებს

გუშინდელ „სარბიელში“ გვეწერა, ხელბურთის ფედერაციამ ნაკრების ლუქსემბურგთან „ჩელენჯ ტროფის“ ფინალური თამაშისთვის მომზადება იმედო ფხაკაძეს დაავალაო. ფხაკაძემ მანამდე სამოქმედო გეგმაც წარუდგინა ფედერაციას.

იმედო ფხაკაძეს გუშინ დავუკავშირდით და ნაკრების გეგმებზე ვკითხეთ.

**— ელოდით, რომ ნაკრების გაძღოლას დაგავალებდნენ ამ უმნიშვნელოვანესი თამაშისთვის?**

— ეს შემოთავაზება გასაკვირი არ იყო ჩემთვის. მსგავსი წინადადებით ადრეც მომმართეს, მაგრამ მაშინ თავი შევიკავე, ახლა კი დავთანხმდი.

**— რატომ თქვით უარი თავის დროზე?**

— ვიფიქრე, რომ ვერ შევძლებდი ამ მოვალეობისთვის თავის გართმევას იმის გამო, რომ დიდი ხანი მოწყვეტილი ვიყავი ხელბურთს. თუმც ახლა გუნდთან მუშაობის საშუალება რომ მომეცა, ვფიქრობ, შევძლებ დასახული ამოცანის შესრულებას.

**— ნაკრების შემადგენლობაში თუ იქნება ცვლილებები?**

— ყველას შევკრებთ, ვინც კი გვყავს და იქიდან შეირჩევა საუკეთესოები. ახალი სახეებიც გამოჩნდებიან. ლეგიონერებიდან ვინც „ჩელენჯ-ტროფზე“ ითამაშა, ყველას ველით, გვეყოლება დებიუტანტიც, უკრაინულ „ბროვარში“ მოთამაშე 19 წლის დათო სულიკაშვილი. ეს ბიჭი ხაზის პოზიციაზე დგას და თურქეთში ამხანაგურებში გამოვცდით.

**— გუნდის მომზადებაში ვინ დაგეხმარებათ, რამდენი ასისტენტი გეყოლებათ?**

— ყოველთვის მომხრე ვიყავი, რომ ნაკრებს ფიზიკური მომზადებისთვის ცალკე მწვრთნელი ჰყოლოდა. ამ ფუნქციას მამია ტულუში შეასრულებს. ალბათ ერთი ადამიანიც დაგვემატება. საერთოდ კი, ვფიქრობ, ჯგუფი ვიმუშავებთ, რომელიც ახალგაზრდულ ნაკრებსაც მოამზადებს. 1988 წელში დაბადებულებს მომავალ წელს ევროპის შესარჩევი ელით.

**— თვითონ გუნდის სათამაშო სქემის შეცვლას ხომ არ აპირებთ, საერთოდ, რა სიახლეები იქნება?**

— დღეს პირველად ვიკრიბებით, ხვალიდან ვარჯიშს დავიწყებთ ადგილობრივებით და ლეგიონერებსაც დაველოდებით. 17 დეკემბერს თურქეთში სამი თამაშის ჩასატარებლად წავალთ, რაც ძალიან წაგვადგება. იქ ბევრი რამ უნდა გამოჩნდეს.

**— ლუქსემბურგზე რას გვეტყვით, მეტოქეზე რა ინფორმაცია გაქვთ?**

— ჩვენმა ახლობელმა ლუქსემბურგის თამაში გადაიღო „ჩელენჯ-ტროფის“ მეორე ჯგუფის ფინალში, რაც ჯერ არ გვინახავს, მაგრამ ეს დროის საკითხია. ვფიქრობ, ამის მერე მათზე გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნება. ისე კი, რადგან ფინალში გავიდა, სუსტი არ უნდა იყოს, ამიტომ ბრძოლა მოგვიწევს.

**ლევან მაისურაძე**

# დალიეთ ლუდი, ცელიეს გუნდი არ არის ცუდი

**მეორე** ეტაპისთვის დარჩენილი ოთხი ვაკანტური საგზურის მოსაპოვებლად ლიგის ჯგუფური ტურნირის დასკვნით ტურში დიდი ამბები დატრიალდა.

სწორედ რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო C ჯგუფში, სადაც მეორე ადგილის შანსი სამ კლუბს ჰქონდა. აუტსაიდერმა „ვარდარმა“ თვით ჯგუფის გამარჯვებულ „ადემარლეონის“ ძლევა კი შეძლო, მაგრამ მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ეს საგმირო წარმატებაც არ ეყო, რადგან ზაგრების ჰალეში შვეიცარიის „კადეტენ შაფჰაუზენთან“ 7000 ქომაგის მხარდაჭერით გამხნევებული ხორვატების მოგება გადამწყვეტი აღმოჩნდა.

საბოლოოდ სამივე გუნდმა ხუთ-ხუთი ქულა დააგროვა და ურთიერთშეხვედრებში უკეთესი ბალანსის წყალობით შემდგომ ეტაპზე სწორედ ხორვატიის ჩემპიონი „ოსიგურანიე ზაგრები“ გავიდა.

თითქმის გმირობის ტოლფასია ჯგუფიდან ლიგის 2004 წლის ჩემპიონის, სლოვენიის პროვინციულ ქალაქ ცელიეს „პივოვარნა ლაშკოს“ გასვლა. ორი ტურით ადრე მელუდეების პერსპექტივა უიმედო ჩანდა, მაგრამ ორივე მატჩის მოგებით მათ თითქმის შეუძლებელი შეძლეს.

უკიდურესად დრამატული გამოდგა ბოლო შეხვედრა ჯგუფის ფავორიტ „გუმერსბახთან“, რომელსაც ცელიეს სპორტის სასახლეში 5 900 სლოვენიელი ქომაგი დაესწრო. მასპინძლებმა მრისხანე მეტოქესთან პირველი ტაიმი ორი ბურთით დათმეს — 12:14, მაგრამ შესვენების შემდეგ გარდატეხის შეტანა შეძლეს და ძირითადად ლეგიონერების — რუს ედუარდ კოკშაროვისა და ხორვატ იგორ კოსის ექვს-ექვსი გოლისა და მეკარე ალიოშა რეცარის დიდებული თამაშით საოცნებო გამარჯვება მოიპოვეს — 28:27.

ბომბარდირთა შორის ისევ ორხელისუფლებიანობაა — სლოვაკ რადოსლავ კოზლოვს („ტატრან პრეშოვი“) ავსტრიელი როლანდ შლინგერი („A1 ბრეგენცი“) შეუამხანაგდა, ორივეს 47-47 გოლი დაუგროვდა.

**გია ახალაძე**



## ჩემპიონთა ლიგა. კაცები

### ჯგუფური ეტაპი. მეექვსე ტური

**A ჯგუფი**

ივრი (საფრანგეთი) 27:29 ბარსელონა (ესპანეთი)

ბანიკ კარვინა (ჩეხეთი) 22:22 ზარია ასტრახანი (რუსეთი)

ბარსელონა 12 ქულა, ივრი 6, ზარია 5, ბანიკი 1

**B ჯგუფი**

კონსტანცა (რუმინეთი) 25:29 კილი (გერმანია)

მონპელიე (საფრანგეთი) 31:29 ჰამარბი (შვედეთი)

კილი 12, მონპელიე 8, ჰამარბი 2, კონსტანცა 2

**C ჯგუფი**

ზაგრები (ხორვატია) 30:27 შაფჰაუზენი (შვეიცარია)

ვარდარ სკოპიე (მაკედონია) 29:28 ადემარ ლეონი (ესპანეთი)

ადემარ ლეონი 9, ზაგრები 5, შაფჰაუზენი 5, ვარდარი 5

**D ჯგუფი**

ტატრანი (სლოვაკეთი) 29:35 პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი)

გოგ გუდმე (დანია) 33:29 A1 ბრეგენცი (ავსტრია)

პორტლენდი 10, გუდმე 8, ტატრანი 3, ბრეგენცი 3

**E ჯგუფი**

ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი) 36:27 ვიბორგი (დანია)

ჰამბურგი (გერმანია) 38:23 ZTR ზაპოროჟიე (უკრაინა)

ჰამბურგი 11, მედვედი 9, ზაპოროჟიე 2, ვიბორგი 2

**F ჯგუფი**

პივოვარნა ლაშკო (სლოვენია) 28:27 გუმერსბახი (გერმანია)

ვალური (ისლანდია) 24:31 ვესპრემი (უნგრეთი)

გუმერსბახი 9, პივოვარნა 7, ვესპრემი 6, ვალური 2

**G ჯგუფი**

სიუდად რეალი (ესპანეთი) 44:35 დრამენი (ნორვეგია)

ზაგლებიე (პოლონეთი) 19:34 ფლენსბურგი (გერმანია)

სიუდად რეალი 12, ფლენსბურგი 6, დრამენი 3, ზაგლებიე 3

**H ჯგუფი**

პიკ სეგედი (უნგრეთი) 33:24 მეშკოვ ბრესტი (ბელარუსი)

სარაევო (ბოსნია) 25:30 გორენიე (სლოვენია)

პიკ სეგედი 12, გორენიე 8, სარაევო 2, ბრესტი 2



## რეგულარული ჩემპიონატი

26 ნოემბერი

**ფილადელფია 3:6 ბოსტონი**

*0:2 2:3 1:1*

0:1 მიური (5), 0:2 სავარი (8), 0:3 მიური (22), 0:4 მეტროპოლიტი (28), 1:4 კნუბლი (31), 2:4 რიჩარდსი (33), 2:5 შეფერი (34), 3:5 აპშოლი (45), 3:6 კობასიუ (60)

**ვაშინგტონი 1:3 ბუფალო**

*0:1 1:2 0:0*

0:1 ხეხტი (11), 1:1 ოვეჩკინი (21), 1:2 ხეხტი (28), 1:3 პომინვილი (32)

**აილენდერსი 2:3 დალასი**

*0:0 1:1 1:1 0:1 (ოვერტაიმში)*

1:0 პარკი (30), 1:1 მოდანო (32), 1:2 ჰულპერნი (47), 2:2 შატანი (58), 2:3 მოდანო (61)

**ედმონტონი 3:1 კოლუმბუსი**

*1:1 0:0 2:0*

1:0 ბროდზიაკი (4), 1:1 პეინსი (15), 2:1 კოლიანი (50), 3:1 პემსკი (60)

# ბრიარის კვირა



**ორკვირიანი** შესვენების შემდეგ ნჰლ-ის კვირის მოთამაშეებში ისევ მეკარეების სიმრავლეა. სამი ვარსკვლავიდან ორი გოლკიპერია, თანაც ორივეს საუკეთესოთა შორის მოხვედრა დიდი მოულოდნელობაა.

თუმც, სანამ კიპერებისას ვიტყოდეთ, კვირის საუკეთესო მოთამაშეზე ვთქვათ, რომელიც „ფილადელფიის“ ცენტრი დანიელ ბრიარი გამოდგა. ამ ზაფხულს „ბუფალოდან“ გადმოსულ კანადელს „მფრინავებმა“ 8 წლიანი და 52 მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმეს, რაც ნჰლ-ში ბევრმა შეცდომად მიიჩნია — ბრიარი ამდენი ნაღდად არ ღირსო. საეჭვოა, „ფილადელფიის“ მესვეურები ნანობდნენ თავიანთ საქციელს, რადგანაც მინიატურული კანადელი სიმონ განიეს არყოფნაში ლამის მარტო მიათრევს გუნდს და ეს მშვენივრადაც გამოსდის.

წინა კვირას ბრიარმა 8 ქულა (5+3) მიითვალა და გუნდს სამიდან ორი შეხვედრა მოაგებინა. თანაც ორჯერვე გამარჯვების მომტანი შაიბა სწორედ მან შეაგდო.

ახლა ისევ მეკარეებს დავუბრუნდეთ და ილია ბრიზგალოვით დავიწყოთ, რომელსაც მეორე ვარსკვლავი ერგო. ეს რუსი „ანაჰაიმმა“ ბრიყვულად გაუშვა. „ფინიქსმა“ აიყვანა და ეტყობა, ამით. მრავალი წლის განმავლობაში არსებული პირველი მეკარის პრობლემა გადაჭრა. ყოველ შემთხვევაში, „კოიოტების“ რიგებში გატარებული პირველი კვირიდან ასე ჩანს, რადგან ბრიზგალოვის დამსახურებით არიზონელებმა წინა შვიდდღეულში სამივე მატჩი მოიგეს, რომლებშიც რუსი საშუალოდ 1,62 შაიბას უშვებდა და დარტყმულის 93,8 პროცენტს იგერიებდა.

მესამე ვარსკვლავად კი „დალასის“ სათადარიგო მეკარე მაიკ სმიტი დასახელდა. ისე, სათადარიგო აქამდე იყო, თორემ ახლა უკვე ძირითადი უფროა — წინა კვირას სმიტმა სამივე შეხვედრა მოიგო, რომლებშიც საშუალოდ მხოლოდ ერთ შაიბას უშვებდა და კარისკენ დარტყმულის 96,3 პროცენტს იგერიებდა.

**კახა ლომჯარიძე**

# მაიორგამ ვარგასთან ივარგა

**გასულ** უქმეებზე კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ მოკრივეთა ენას ძვალი არა აქვს. მათ მიერ მეტოქის მიმართ გამოთქმული ყოველი შეურაცხყოფა თუ მუქარა მხოლოდ ცარიელი ბაქიბუქია, რომელიც სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვისთვის და მაყურებლის მისაზიდად გამოიყენება. უმრავლეს შემთხვევაში მოკრივეები რინგზე იმ ემოციების მესამედსაც ვერ ამჟღავნებენ, რაც პრესკონფერენციებზე ახასიათებთ ხოლმე.

ამის მაგალითად ორ წონაში ექსჩემპიონ რიკარდო მაიორგასა და პირველ საშუალო წონაში ექსჩემპიონ ფერნანდო ვარგასის ბრძოლაც გამოდგება. ორივემ შეხვედრამდე თვეების წინ დაიწყო ერთმანეთის შეურაცხყოფა, რაც ბოლოს ბანალურ ლანძღვა-გინებაში გადაიზრდა — მაიორგა სულაც მეტოქის დედასა და ცოლს გადასწვდა.

ამან, რა თქმა უნდა, ბრძოლისადმი ყურადღება გაზარდა. ბევრის აზრით, მოკრივეები ერთმანეთს არ დაინდობდნენ და რინგზე მაგარი ჩხუბიც უნდა გამართულიყო. თუმც რაიმე განსაკუთრებული არაფერი ყოფილა — ჩხუბი საკმაოდ საინტერესო კი გამოდგა, მაგრამ მოკრივეებს ერთმანეთის სიძულვილისა არაფერი ეტყობოდათ. ბრძოლის შემდეგ კი მაიორგა სულაც ვარგასთან მივიდა და გადაეხვია, რასაც „სტეპლს სენტერის" მაყურებლისგან ხანგრძლივი სტვენა მოჰყვა.

ჰოდა, ახლა თქვენ თავად განსაჯეთ, რად ღირდა მათი სიტყვიერი პაექრობა.

თავად ბრძოლა კი თავიდანვე მაღალ ტემპში დაიწყო, თუმც მცირე უპირატესობას მაიორგა ფლობდა. ნიკარაგუელი უფრო სწრაფი იყო და ამის ხარჯზე მეტოქე დაანოკდაუნა კიდეც.

მეოთხე რაუნდისთვის ბრძოლა გათანაბრდა და კარგა ხანს უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა. ამას ბოლო მეთერმეტე რაუნდში მოეღო, როცა მაიორგამ კიდევ ერთხელ დაანოკდაუნა მეტოქე. უკანასკნელ რაუნდში ნიკარაგუელი იმდენად იყო დარწმუნებული საკუთარ გამარჯვებაში, რომ გონგის ზარამდე წუთნახევრით ადრე ხელებს მაღლა წევდა და მაყურებელს ესალმებოდა.

მაიორგა არ შემცდარა — ორმა მსაჯმა მისი მხარე დაიჭირა (114-112 და 115-111), ერთმა კი ფრე დააფიქსირა (113-113).



რიკარდო მაიორგამ ფერნანდო ვარგასი ორჯერ დაანოკდაუნა

ბრძოლის შემდეგ ვარგასმა გამარჯვება მიულოცა მეტოქეს, შემდეგ კი ადრე მიცემული პირობა აასრულა და რინგიდან წასვლის შესახებ გააკეთა განცხადება:

„ყველაფერი ალბათ იმ ნოკდაუნებმა გადაწყვიტეს, თორემ ისე თანაბარი ბრძოლა იყო. ასეა თუ ისე, რიკარდოს წარმატებებს ვუსურვებ, მე კი პროფესიულ კრივს საბოლოოდ ვემშვიდობები. ვფიქრობ, ცხოვრებაში ახალი ფაზა დამიდგა, რომელშიც კრივის ადგილი აღარ არის".

მაიორგამ კი, ახლა წონის დაგდებას ვაპირებ, რადგან მინდა, ან მიგელ კოტოს, ანაც ფლოიდ მეივეზერ-უმცროს დავეჯახოო. ისე, ამ უკანასკნელთან ნიკარაგუელის ბრძოლა საინტერესო იქნება — მეივეზერი მას არც ენის ჭარტალში ჩამორჩება და არც ვარგასივით მისი მისამართით ნათქვამ რომელიმე შეურაცხყოფას შეარჩენს.

**ძაბა ლომჯაშვილი**

## არსლანის ტიტული

**ამ** უქმეებზე დრეზდენში თურქული წარმოშობის, მაგრამ გერმანული პასპორტის მქონე პირველ მძიმე წონაში მოასპარეზე ფირატ არსლანმა თავისი პირველი ტიტული მოიპოვა. გერმანელმა WBO-ს ვერსიით ჩემპიონი, 43 წლის ამერიკელი ვირჯილ ჰილი მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დაამარცხა.

ასაკის მიუხედავად, ამერიკელი უფრო აქტიური იყო, მაგრამ ეს ტიტულის შესანარჩუნებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. არსლანი უფრო იშვიათად, მაგრამ სამაგიეროდ უფრო ზუსტად ურტყამდა და ამიტომ სამივე მსაჯმა მისი მხარე დაიჭირა — 118-110, 117-111 და 116-113.

## ერდეიმ ქამარი დაიცვა

**ნახევრადმძიმე** წონაში WBO-ს ვერსიით ჩემპიონმა ზოლტ ერდეიმ წარმატებით დაიცვა ტიტული, დაამარცხა რა პანამელი ტიტო მენდოზა. მოკრივეებმა რინგზე თორმეტივე რაუნდი გაატარეს და საკმაოდ თანაბრადაც იჩხუბეს, რის გამოც მსაჯებს გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდათ. თუმც სამიდან ორმა რეფერიმ მაინც 33 წლის უნგრელის მხარე დაიჭირა, რამაც მას ტიტული შეუნარჩუნა.



# ნიკი ლაუდა: რაიკონენი ღირსეული ჩემპიონია

2007 წლის საპირველფორმულო სეზონმა დასკვნითი, ბრაზილიური გრან პრის ბოლო მეტრებამდე ყველანი დაძაბულობაში ამყოფა. როგორც ტრასებზე, ასევე სასამართლოს დარბაზში ერთდროულად ბატონობდა ურთიერთწინააღმდეგობაც და ალტაცებაც. საკმარისია ითქვას, რომ მსოფლიოს ჩემპიონის ვინაობა ოფიციალურად სასამართლოში დადასტურდა სეზონის დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ.

ვინ შეძლებს განვლილი ჩემპიონატის უკეთ შეფასებას, თუ არა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნიკი ლაუდა? თავის 35-წლიან ავტოკარიერაში მან ყველაფერი გამოიარა — თავბრუდამხვევი ტრიუმფიც და ლამის ტრაგედიად ქცეული ფიასკოც. ნიკი ლაუდა ყოველივე ამას ხედავდა, ესმოდა და აკვირდებოდა, ამიტომაც დასრულებული სეზონისა და ახალი ჩემპიონ კიმი რაიკონენის შესაფასებლად უკეთეს ექსპერტს ვერც ვისურვებდით

**— „ფერარი" სეზონის ნამდვილად საუკეთესო გუნდი იყო?**

— „ფერარიმ" კონსტრუქტორთა თასი და პირადი ჩათვლა მოიგო. ეს მიღწევები თავად ლაპარაკობს ყველაფერზე, ამიტომ ჩემი პასუხია — დიახ!

**— კიმი რაიკონენი ღირსეული ჩემპიონია?**

— კიმიმ წლეულს ექვსი დიდი პრიზი მოიგო. მან შესანიშნავი სეზონი ჩაატარა, შეცდომები არ დაუშვია და მუდამ მშვიდი, ცივსისხლიანი რჩებოდა. მან დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

**— „მაკლარენი" მთელი სეზონის მსვლელობისას ლიდერობდა და ერთ მომენტში კი ყველაფერი დაკარგა...**

— „მაკლარენი" ეგრეთ წოდებულ „საჯაშუშო სკანდალისთვის" დაისაჯა კონსტრუქტორთა თასზე ყველა ქულის ჩამორთმევით. ბოლოს კი ლუის ჰემილტონმა და ფერნანდო ალონსომ ისე ვერ იმუშავეს, როგორც ეს რაიკონენმა გააკეთა და შედეგად ტიტული პირად ჩათვლაშიც ვერ მოიპოვეს. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ თავად წააგეს ყველაფერი.

**— ლუის ჰემილტონზე რას იტყვით?**

— მან ფორმულა ერთში კარიერა სენსაციურად დაიწყო და სეზონის ბოლო რბოლამდე ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოდა. წარმოიდგინეთ, შესაძლოა, დებიუტანტი მსოფლიოს ჩემპიონი გამხდარიყო! ძნელია ამის დაჯერება! ჰემილტონამდე არც ერთ ახალბედას ვიცეჩემპიონობაც არ მოეპოვებინა.

**— თქვენი აზრით, რა შეემთხვა ალონსოს?**

— ფერნანდო მთელი სეზონის განმავლობაში თავის გუნდს ებრძოდა, რამაც ჩემპიონატის დასასრულს შეცდომამდე მიიყვანა. დაუმატეთ ამას ფსიქოლოგიური ზეწოლა, შეცდომა იაპონიაში და შედეგად, კიმისთან მარცხი.

**— ალონსოს კარიერის გაგრძელების რა ვარიანტები აქვს?**

— ფერნანდოს გამარჯვებები სურს და ჩემი აზრით, „ფერარის", „მაკლარენისა" და სავარაუდოდ, BMW-ს გარდა, მას ვერავინ მისცემს ასეთ შესაძლებლობას.

**— გჯერათ „საჯაშუშო სკანდალთან" დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების სამართლიანობისა?**

— ფორმულა ერთი საერთაშორისო ავტოფედერაციის წესებით თამაშობს და თავად ფედერაცია აწესებს შეჯიბრების რეგლამენტს. თუკი მათ გადაწყვიტეს, დაესაჯათ ისეთი გუნდი, როგორიც „მაკლარენია", ამ გადაწყვეტილებას ყველამ პატივი უნდა სცეს, თუკი ისინი ფორმულის ნაწილს წარმოადგენენ.

**— თქვენი აზრით, წლევანდელ სეზონში რომელმა გუნდმა გადადგა წინ ყველაზე დიდი ნაბიჯი?**

— უეჭველად, „BMW-ზაუბერმა" (მეორე ადგილი გენერალურ კლასიფიკაციაში). ასევე გაძლიერდა „რედ ბულიც" (მეხუთე ადგილი). ვნახოთ, როგორ შეძლებენ ისინი წარმატებების განმტკიცებას 2008 წელს.

**— იგივე კითხვა, ოღონდ პილოტთან დაკავშირებით...**

— ასი პროცენტით — ჰემილტონი ეს ბიჭი ისტორიაში მოხვდა

**— სეზონის ყველაზე დიდი გაწბილება?**

— ალონსო და მისი პოლიტიკა.




# მასას ტურნირი შუმახერმა მოიგო

**ბრაზილიის** ქალაქ ფლორიანაპოლისში ტრადიციული საკარტინგო „ჩემპიონთა შეჯიბრება" გაიმართა, რომლის ორგანიზატორიც „ფერარის" პილოტი ფელიპე მასა გახლავთ.

ორდღიან ტურნირში 24 მრბოლი გამოვიდა — მათ შორის 13 ფორმულა 1-ის მოქმედი ან ყოფილი მძღოლი, მიხაელ შუმახერის ჩათვლით.

კვალიფიკაცია „რენოს" მეტესტე ნელსინიო პიკემ მოიგო, თავად მასას მესამე დრო ჰქონდა, მეოთხე — შუმახერს.

საქველმოქმედო-სალაღობო გაჯიბრების გამარჯვებული ორი რბოლის ჯამური შედეგით გაირკვა. ათი ათასი მაყურებლის თვალწ[illegible] პირველში მიხაელმა გაიმარჯვა. მეორე-მესამე ადგილებზე გასული მასპინძლები — პიკე და ლუჩანო ბურტი მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს ექვსი წამით ჩამორჩნენ.

მეორე რბოლის სტარტზე პილოტები რევერსულად, ანუ ნაჩვენები შედეგების სარკისებურად განლაგდნენ, შუმიმ მერვე პოზიციიდან დაიწყო და ფინიშთან მეექვსე მივიდა, გამარჯვება კი „მომავლის" ფორმულის — გრან პრი ორის მრბოლმა ლუკას დი გრასიმ მოიპოვა. მეორე ბურტი იყო, მესამე — თავად მასა.

საბოლოოდ, ორი რბოლის ჯამში 11 ქულით გამარჯვებული მიხაელ შუმახერი გამოვიდა. მოსალოდნელია, რომ იგი ოთხ დეკემბერს ესპანეთში მორიგ საპირველფორმულო სატესტო სერიაში მიიღებს მონაწილეობას.

**გია ახალაძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008

## ჯგუფური ეტაპი. V ტური. წუხელ

### E ჯგუფი

**ლიონი 2:2 ბარსელონა**

0:1 ინიესტა (3), 1:1 ჟუნინიო (7), 1:2 მესი (58პ), 2:2 ჟუნინიო (80პ)

ლიონი: ვერკუტრი, კლებერი, გროსო, რევეიერი, სკილაჩი, ჟუნინიო, ფაბიო (კალსტრომი 69), ტულალანი, ბატემი (რემი 83), ფრედი (კეიტა 61), გოვუ

მწვრთნელი: ალენ პერენი

ბარსელონა: ვალდესი, აბიდალი, მილიტო, პუიოლი, ძამბროტა (მარკესი 83), ინიესტა, ტური, ხავი, გუდიონსენი (რონალდინიო 72), კრკიჩი, მესი

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: ფაბიო, ჟუნინიო, ტური, მესი, ხავი, პუიოლი

მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)

38 000 მაყურებელი

**შტუტგარტი 3:2 რეინჯერსი**

0:1 ადამი (29), 1:1 კაკაუ (48), 2:1 პარდო (64), 2:2 ფერგიუსონი (71), 3:2 მარიკა (86)

შტუტგარტი: შაფერი, ბეკი, დელპიერი, მაგნინი, მეირა, ჰილბერტი (ევერტონი 84), ჰიცლშპერგერი, ხედირა (სილვა 46), პარდო, კაკაუ (ტასკი 89), მარიკა

მწვრთნელი: არმინ ფეე

რეინჯერსი: მაკგრეგორი, კუელიარი, ჰატონი, პაპაჩი, ვეირი, ფერგიუსონი, ჰემდანი, მაკკალოხი (ადამი 27), ტომსონი, ბისლი (ნეისმიტი 50), დარშევილი (კუზენი 83)

მწვრთნელი: უოლტერ სმიტი

გაფრთხილება: მანინი, ჰატონი, მაკკალოხი

მსაჯი: დარკო ცეფერინი (სლოვენია)

51 300 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 3 | 2 | 0 | 9:2 | 11 |
| რეინჯერსი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| ლიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:10 | 7 |
| შტუტგარტი | 5 | 1 | 0 | 4 | 6:12 | 3 |

### F ჯგუფი

**დინამო 1:4 რომა**

0:1 პანუჩი (4), 0:2 ჟული (32), 0:3 ვუჩინიჩი (36), 1:3 ბანგურა (63), 1:4 ვუჩინიჩი

დინამო: რიბკა, დიპილკა, გავრანჩიჩი, ნესმაჩნი, ვაშჩუკი, გიოანი, ბუსევი, ნინკოვიჩი (შაცკიხი 56), რინკონი (მილევსკი 70), როტანი (ბელკევიჩი 46), ბანგურა

მწვრთნელი: ოლეგ ლუჟნი

რომა: დონი, კასეტი, ფერარი, პანუჩი, ჟუანი, ტონეტო, დე როსი (ბარუსო 62), ჟული, პიზარო, ტადეი (ესპოზიტო 46), ვუჩინიჩი (სისინიო 85)

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: ვაშჩუკი, კასეტი

მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

15 000 მაყურებელი

**მანჩესტერი 2:1 სპორტინგი**

0:1 აბელი (21), 1:1 ტევესი (62), 2:1 რონალდუ (90)

მანჩესტერი: კუშჩაკი, ევრა, ფერდინანდი, ოში, ვიდიჩი, ანდერსონი, კარიკი, ფლეტჩერი (გიგზი 46), ნანი (ტევესი 46), რონალდუ, საა (ჰარგრივსი 80)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

სპორტინგი: პატრისიო, აბელი, ჰადი, პოლგა, სოუზა, ველოსო, იზმაილოვი (პერეირინია 83), მაუტინიუ, ლეანდრო (ვუკჩევიჩი 69), ლიდსონი, პუროვიჩი (ფარნერუდი 83)

მწვრთნელი: პაულო ბენტუ

გაფრთხილება: რონალდუ, ევრა, ჰადი, პოლგა

მსაჯი: კლაუს ბო ლარსენი (დანია)

75 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 5 | 5 | 0 | 0 | 12:3 | 15 |
| რომა | 5 | 3 | 1 | 1 | 10:5 | 10 |
| სპორტინგი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| დინამო | 5 | 0 | 0 | 5 | 4:16 | 0 |

### G ჯგუფი

**ცსკა 0:1 პსვ**

0:1 ფარფანი (39)

ცსკა: აკინფეევი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, შემბერასი, ალდონინი, რაჰიმიჩი (გრიგორიევი 87), რამონი (ერკინი 62), დუდუ (ოდია 75), ჟირკოვი, იანჩუკი

მწვრთნელი: ვალერი გაზაევი

პსვ: გომესი, ალკიდესი, მარსელისი, რაიკოვიჩი, სალსიდო, ზონეველდი, აფელაი, ბაკალი (კულინა 78), მენდესი, ფარფანი (კუვერმანსი 82), ლაზოვიჩი (პერესი 85)

მწვრთნელი: იან ვოუტერსი

გაფრთხილება: ა. ბერეზუცკი, მენდესი, დუდუ, მარელისი, რაჰიმიჩი

მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

14 000 მაყურებელი

**ინტერი 3:0 ფენერბაჰჩე**

1:0 კრუზი (55), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (61), 3:0 ხიმენესი (90)

ინტერი: სეზარი, მაქსველი (ხიმენესი 74), კივუ, კორდობა, სამუელი, მაიკონი, ძანეტი, კამბიასო, სტანკოვიჩი (მატერაცი 90), კრუზი, იბრაჰიმოვიჩი (სუაზო 74)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

ფენერბაჰჩე: ვოლკანი, რობერტო კარლოსი, ედუ, გიონული, ლუგანო, ვედერსონი, ალექსი, აურელიო (აპია 63), საჰინი, დეივიდი (მეთინი 84), სემიჰი (კაზიმ-რიჩარდსი 70)

მწვრთნელი: ზიკო

გაფრთხილება: სამუელი, იბრაჰიმოვიჩი, ლუგანო, გიონული

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

25 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:4 | 12 |
| ფენერბაჰჩე | 5 | 2 | 2 | 1 | 5:5 | 8 |
| პსვ | 5 | 2 | 1 | 2 | 3:5 | 7 |
| ცსკა | 5 | 0 | 1 | 4 | 6:11 | 1 |

### H ჯგუფი

**სევილია 3:1 არსენალი**

0:1 და სილვა (11), 1:1 კეიტა (24), 2:1 ფაბიანო (34), 3:1 კანუტე (89პ)

სევილია: პალოპი, დანიელი, დრაგუტინოვიჩი, ფასიო, კრესპო (მოსკერა 65), კორეია (მარტი 90), ნავასი, კეიტა, პოულსენი, კანუტე, ფაბიანო (კერჟაკოვი 76)

მწვრთნელი: მანუელ ხიმენესი

არსენალი: ალმუნია, ჰოიტი (სანია 67), სენდეროსი, ტურე, ტრაორე, ჟილბერტუ სილვა, დენილსონი, ებოუე (უოლკოტი 79), ფაბრეგასი (როსიცკი 57), ბენდტნერი, და სილვა

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: პალოპი, კრესპო, კორეია, კეიტა, ჰოიტი, დენილსონი

მსაჯი: ერიკ ბრამჰარი (ჰოლანდია)

40 000 მაყურებელი

**სტიაუა 1:1 სლავია**

1:0 ბადეა (12), 1:1 შენკერიკი (78)

სტიაუა: საპატა, ემეჰარა, გოიანი, ნესუ, რადა, კროიტორუ (სურდუ 77), დიკა, ლოვინი (ბიკფალვი 66), პეტრე, ბადეა (კრისტოჩეა 90), ნიაგა

მწვრთნელი: მარიუს ლეკეტუში

სლავია: ვანიაკი, ბრაბეკი, ჰუბაჩეკი, კრაიჩიკი, პუდილი, სუხი, შვეცი (ბელაიდი 31), ტავარესი, ლოვეშაკი (შურეკი 62), გაუჩო (ნესიდი 78), შენკერიკი

მწვრთნელი: კარელ იაროლიმი

გაფრთხილება: კროიტორუ, ჰუბაჩეკი, კრაიჩიკი, შურეკი

მსაჯი: ალენ ჰამერი (ლუქსემბურგი)

8 287 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 5 | 4 | 0 | 1 | 11:7 | 12 |
| არსენალი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:3 | 10 |
| სლავია | 5 | 1 | 2 | 2 | 5:13 | 5 |
| სტიაუა | 5 | 0 | 1 | 4 | 3:8 | 1 |

# დღე ესპანურ-იტალიური

## ამას ჰქვია, მსაჯმა თამაში წაიყვანაო



AFP

**წუხელ** ჩემპიონთა ლიგის მომავალი მერვედფინალის უკვე ცნობილ მონაწილეებს კიდევ ოთხი გუნდი შეემატა. „მანჩესტერისა“ და „არსენალის“ ინგლისურ წყვილს ორ-ორი ესპანური და იტალიური გუნდი შეუერთდა.

E ჯგუფში „ბარსელონამ“ „სტად ჟერლანზე“ ადგილობრივ „ლიონთან“ ფრეს მიაღწია და თავის კვარტეტში პირველობა დაიბევა. ამ მატჩის მთავარი მოქმედი პირი არა რომელიმე ფეხბურთელი, არამედ იტალიელი არბიტრი სტეფანო ფარინა გახლდათ, რომელმაც ორი საეჭვო პენალტი დანიშნა, ერთი სადავო გოლი ჩათვალა, ფეხბურთელებს 6 ყვითელი ბარათი დაურიგა, ხოლო ზედ შესვენებამდე „ბარსას“ დამრიგებელ ფრანკ რაიკარდი სათადარიგოთა სკამიდან ტრიბუნაზე მიაბრძანა.

ჯგუფის მეორე წყვილში კი „შტუტგარტმა“ პრაქტიკული თვალსაზრისით უსარგებლო გამარჯვება იზეიმა, თუმცა ამით საქმე „რეინჯერსს“ გაურთულა — გლაზგოელ პროტესტანტთა სათაყვანებელ გუნდს შვაბიაში მოგების შემთხვევაში თავი ქუდში ექნებოდა, ხოლო შექმნილ ვითარებაში შოტლანდიელებს მერვედფინალის საგზურის მოსაპოვებლად „ლიონთან“ ბოლო ტურის საშინაო მატჩში სულ ცოტა ფრე დაჭირდებათ.

თანმიმდევრობით თუ მივყვებით, F ჯგუფზე უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა. „წითელ ეშმაკუნებს“ მერვედფინალისტობა წინა ტურში ჰქონდათ განაღდებული, ამდენად მათთვის „სპორტინგთან“ საშინაო დაპირისპირება არანაირ პრაქტიკულ დატვირთვას არ ატარებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მანჩესტერელებმა ლისაბონელთა ძლევაზე უარი მაინც ვერ თქვეს, არადა ზედიზედ მეხუთე მატჩის მოგება მსაჯის წამატებულ დროშიღა მოახერხეს — კრიშტიანუ რონალდუმ ლამაზი საჯარიმო დარტყმით თავისი ყოფილი გუნდი უეფას თასის საგზურის ამარა დატოვა. აი, „რომამ“ კი კიევში „დინამოს“ შავი დღე აყარა. უკრაინულმა გუნდმა „მგლებს“ ვერაფერი მოუხერხა, განსაკუთრებით კი — მირკო ვუჩინიჩს, ვისაც ახლო მომავალში საქართველოს ნაკრების მეტოქედ ვიხილავთ (ჩვენი ნაკრების გახსენებაზე გუშინ შოტლანდიის მწვრთნელი ალექს მაკლიში დაითხოვეს). ჩერნოგორიელმა ფორვარდმა ტრავმირებული ტოტის მაგივრობა დიდებულად გაწია, თავი დუბლის შესრულებით ისახელა და რაც მთავარია, რომაელებს ლიგის მომდევნო ეტაპზე გასვლაში დაეხმარა.

G ჯგუფში „ინტერმა“ ჩემპიონთა ლიგაში კერკეტ კაკლად ქცეული „ფენერბაჰჩეს“ გატეხვა მოახერხა. მილანელებმა ზიკოს გუნდის კარში სამი უპასუხო გოლი გაიტანეს და პლეი ოფში ადგილი დაიბევეს, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ პსვ-მ მოსკოვში ცსკა დაამარცხა, მეორე საგზურის მფლობელი ბოლო ტურში გამოვლინდება, როცა „ფენერსაც“ და პსვსაც უმოტივაციოდ დარჩენილ მეტოქეებთან — შესაბამისად ცსკასა და „ინტერთან“ საშინაო მატჩების გამართვა მოუწევთ.

H ჯგუფში კი ყველაფერი ნათელია. „სევილიამ“ „სანჩეს პისხუანზე“ „არსენალი“ დაამარცხა და მომდევნო ეტაპზე გზა გაიკვალა. „სტიაუამ“ და „სლავიამ“ ფრე გააგორეს, რომელმაც პრაღელები უეფას თასზე გაიყვანა.

**სლავა გასპაროვი**

### ინგლისი

**ჩემპიონატი. XVIII ტური**

ბლეკპული 1:3 ნორვიჩი
ქოვენთრი 1:1 სკანთორპი
ჰალი 0:0 ბრისტოლი
იფსვიჩი 2:0 საუთჰემპტონი
უენსდი 1:0 ბარნსლი
სტოკი 3:1 ქუინზ პარკი
უოტფორდი 1:2 ბარნლი
ჩარლტონი 0:3 შეფილდი
კრ. პალასი 2:1 პრესტონი

**I ლიგა**

**გადადებული მატჩი**

სუონსი 1:0 ჰარტლპული

**ასოციაციის თასი. I ეტაპი**

**გადათამაშება**

ბრენტფორდი 0:2 ლუთონი
როვერსი 3:3 (6:5პ) ლეიტონი
დონკასტერი 1:2 ოლდემი
ნოტინგემი 3:1 ლინკოლნი

### გერმანია

**სამხრეთ რეგიონალლიგა**

**გადადებული მატჩი**

პფულენდორფი 1:1 როიტლინგენი

### პოლონეთი

**ლიგის თასი. V ტური**

**A ჯგუფი**

რუხი 0:1 ლეგია
ლოძი 2:3 ვროცლავი

**B ჯგუფი**

ოდრა 2:0 ლეხი
ზაგლებე 1:0 პოლონია

**C ჯგუფი**

კრაკოვია 1:0 იაგელონია
კორონა 2:0 ვიძევი

### ხორვატია

**თასის 1/4 ფინალი**

**საპასუხო მატჩები**

ციბალია 0:2 ვარტექსი (0:4)
ინტერი 0:4 ჰაიდუკი (1:2)

### ავსტრია

**I დივიზიონი**

**გადადებული მატჩი**

პარნდორფი 0:1 აუსტრია (მ)

### ამხანაგური მატჩები

ფკ სიდნეი 5:3 ლოს ანჯელესი
ვადუცი 4:3 აარაუ


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნინო სილაგაძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სლავა გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თამარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარია, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge